COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

# European Charter for Regional or Minority Languages and Explanatory Report

# Charte Européenne des Langues Regionales ou Minoritaires et Rapport Explicatif

GEORGIAN VERSION
VERSION GEORGIENNE

# ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ

*განმარტებითი მოხსენება*

## შესავალი

1. ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი ავტოქთონური ჯგუფები, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან. ეს იმითაა განპირობებული, რომ ისტორიულად სახელმწიფოთა ფორმირება არ ხდებოდა მხოლოდ ენობრივი ნიშნით და მათი წარმოქმნის პროცესში მიმდინარეობდა მცირე ხალხების შერწყმა უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთეულებთან.

2. დემოგრაფიული თვალსაზრისით ამგვარი რეგიონალური და უმცირესობათა ენები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და მათზე მოლაპარაკეთა რაოდენობა რამდენიმე ათასიდან რამდენიმე მილიონამდე ადამიანს შეიძლება ითვლიდეს. განსხვავებულია აგრეთვე ამ ენებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა. ამავე დროს, ბევრი მათგანი მეტნაკლებად ერთი საერთო საფრთხის წინაშე იმყოფება. მიუხედავად იმისა, თუ რა ფაქტორების ზეგავლენას განიცდიდნენ ეს ენები წარსულში, ნიველირების ის საფრთხე, რომელიც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს დღეს ემუქრება, ხშირად განპირობებულია თანამედროვე ცივილიზაციისა და განსაკუთრებით კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენით გამოწვეული უნიფიკაციის გარდაუვალი პროცესებით, და არა მხოლოდ ამ ენების არსებობისა და განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობებითა, თუ ხელისუფლების მიერ ამ ენათა მიმართ წარმოებული იძულებითი ასიმილაციის პოლიტიკით.

3. მრავალი წლის განმავლობაში ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოები გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას რეგიონალური და უმცირესობათა ენების ამგვარ არასტაბილურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციის მე-14 მუხლი აღიარებს დისკრიმინაციის დაუშვებელობის პრინციპს, კერძოდ კი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას ამა თუ იმ ენობრივი ჯგუფის თუ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას. მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნის უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, იგი მხოლოდ ადგენს პიროვნების უფლებას არ მოხდეს მისი დისკრიმინაცია, მაგრამ არ ქმნის უმცირესობათა ენებისა თუ ამ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების ქმედითი დაცვის სისტემას, რისი აუცილებლობაც აღნიშნული იყო ჯერ კიდევ 1957 წელს საკონსულტაციო ასამბლეის 136-ე რეზოლუციაში. 1961 წელს მიღებულ 285-ე რეკომენდაციაში საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა შემუშავებულიყო დაცვის ისეთი მექანიზმი, რომელიც განავრცობდა ევროპულ კონვენციაში მოცემულ დებულებებს და უზრუნველყოფდა უმცირესობათა უფლებების დაცვას კულტურული თვიმყოფადობის შენარჩუნების, დედაენის გამოყენების, მშობლიურ ენაზე სკოლების დაარსების თვალსაზრისით და სხვ.

4. 1981 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო 928-ე რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ევროპაში უმცირესობათა ენებისა და დიალექტების საგანმანათლებლო და კულტურულ ასპექტებს. იმავე წელს, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო ასევე ევროპარლამენტმა. ორივე ამ დოკუმენტში დასკვნის სახით ნათქვამია, რომ აუცილებელია რეგიონალური და უმცირესობათა ენებისა და კულტურათა შესახებ ქარტიის შემუშავება.

5. აღნიშნული რეკომენდაციებისა და რეზოლუციების განხორციელების მიზნით, ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოთა კონგრესის მუდმივმოქმედმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა მოსამზადებელი სამუშაო რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის შესამუშავებლად. კომიტეტის ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმ განსაკუთრებული როლით, რომელიც ადგილობრივი და რეიგონალური მმართველოების ორგანოებს ენიჭებათ ენებისა და კულტურათა საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე.

6. ქარტიის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში ჩატარდა ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების არსებული მდგომარეობის შესწავლა, ხოლო 1984 წელს გაიმართა საჯარო განხილვა, რომელსაც 40 სხვადასხვა ენის 250-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა. ქარტიის თავდაპირველი პროექტის შედგენაში მონაწილეობდა ექსპერტთა ჯგუფი. იქიდან გამომდინარე, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ევროპარლამენტი მუდმივად იჩენდა და იჩენს აქტიურ ინტერესს ამ საკითხის მიმართ, საპარლამენტო ასამბლეამ მონაწილობა მიიღო ქარტიის პროექტის შემუშავებაში და მთელი ამ პროცესის განმავლობაში რეგულარული კონსულტაციები მიმდინარეობდა ევროპარლამენტის წარმომადგენლებთან.

7. ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოთა კონგრესის მუდმივმოქმედმა კომიტეტმა თავის 192-ე რეზოლუციაში (1988) წარმოადგინა ქარტიის პროექტის ტექსტი, რომელსაც მომავალში კონვენციის სტატუსი მიენიჭებოდა.

8. ამ ინიციატივის შემდგომ, რომელსაც მხარი დაუჭირა საპარლამენტო ასამბლეამ თავის №142 დასკვნაში (1988), მინისტრთა კომიტეტმა შექმნა ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალური კომიტეტი (CAHLR), რომელსაც დაევალა შეემუშავებინა ქარტიის საბოლოო პროექტი მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ტექსტის საფუძველზე. აღნიშნული მთავრობათაშორისი კომიტეტი მუშაობას შეუდგა 1989 წლის ბოლოს. პროექტის განხორციელებაში მათი მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, კომიტეტის შეხვედრებზე წარმოდგენილი იყო ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოთა კონგრესი და საპარლამენტო ასამბლეა. 1992 წელს მინისტრთა კომიტეტისათვის ქარტიის პროექტის საბოლოო ვერსიის წარდგენამდე, ექსპერტთა კომიტეტმა კონსულტაციები გამართა ევროსაბჭოს რიგ სპეციალიზებულ (კულტურის, განათლების, ადამიანის უფლებათა, დამნაშავეობის პრობლემების, ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოთა, მასმედიის) კომიტეტებთან და გაითვალისწინა მათი შენიშვნები და მოსაზრებები. კონსულტაციებში მონაწილეობდა ასევე ევროპული კომისია "დემოკრატია სამართლის მეშვეობით".

9. ქარტია კონვენციის სტატუსით მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ 1992 წლის 25 ივნისს გამართულ მინისტრთა მოაგილეების 478-ე შეხვედრაზე და იგი გახსნილად გამოცხადდა ხელმოწერისათვის 1992 წლის 5 ნოემბერს სტრასბურგში.

## ზოგადი მოსაზრებები

### ქარტიის მიზნები

10. როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, ქარტიის უმთავრესი მიზანი კულტურული ხასიათისაა. იგი მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს რეგიონალური და უმცირესობათა ენების, როგორც ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილის, გამოყენებასა და განვითარებას. ამისათვის, ქარტია არა მხოლოდ ადგენს, რომ დაუშვებელია დისკიმინაცია ამ ენების გამოყენებასთან დაკავშირებით, არამედ

ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას ამ ენების აქტიური ხელშეწყობის მიზნით: მისი ამოცანაა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება განათლების სისტემასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და დასაშვები გახადოს მათი გამოყენება მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, აგრეთვე საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი იმ ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების შედეგების კომპენსირება, რომელსაც ეს ენები წარსულში განიცდიდნენ და მათი, როგორც ევროპის კულტურული მონაპოვარის განუყოფელი ნაწილის შენარჩუნება და განვითარება.

11. ქარტიის მიზანია ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების და არა ენობრივ უმცირესობათა დაცვა და ხელის შეწყობა. ამდენად, მთავარი ყურადღება ეთმობა საკითხის კულტურულ ასპექტებს და რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებას ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში. ქარტია არ ადგენს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ უფლებებს. ამასთან, მხარეების მიერ ამ ენების მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ქვეყანაში უნდა განხორციელდეს ქარტიის მოთხოვნების შეაბამისად, აუცილებლად იქონიებს რეალურ გავლენას ამ ლინგვისტური ჯგუფებისა და მისი ცალკეული წევრების ცხოვრებაზე.

12. ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოთა კონგრესმა ქარტიის შემუშავების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო და წარმოადგინა მისი პროექტი მაშინ, როდესაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი ცნობილი კარდინალური ძვრები. პროექტის ავტორები შესაბამისად ხელმძღვანელობდნენ ევროპის საბჭოს მაშინდელ წევრ სახელმწიფოებში არსებული მოთხოვნებით. მიუხედავად ამისა, შემდგომში ნათლად წარმოჩინდა ქარტიისა და მასში გათვალისწინებული მიდგომების აქტუალობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კონტექსტში, რისი დასტურიცაა ის დიდი დაინტერესება, რომელიც ამ ქვეყნების მრავალმა წარმომადგენელმა გამოხატა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთო ევროპული სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით.

13. მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის პროექტი არ ეხება ისეთ პრობლემას, როგორიცაა ცალკეულ ეროვნებათა სწრაფვა მოიპოვონ დამოუკიდებლობა ან მოხდეს არსებული საზღვრების გადასინჯვა, მას გარკვეულწილად შეუძლია სასარგებლო როლი ითამაშოს იმ უმცირესობათა პრობლემის მოგვარების საქმეში, რომელთა ენა მათ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს, შეუქმნის რა მათ პირობებს უფრო თავისუფლად იგრძნონ თავი იმ სახელმწიფოში, რომელშიც მათ ისტორიამ მიუჩინა ადგილი. ამგვარი მიდგომა კი არ აძლიერებს დეზინტეგრაციულ ტენდენციებს, არამედ პირიქით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში რეგიონალური და უმცირესობათა ენების უფრო ფართო გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ დაეხმარება ამ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებს დაივიწყონ წარსულის გულისწყრომა და მათთვის მისაღები გახდეს ის ადგილი, რომელიც მათ ქვეყანაში და საზოგადოდ ევროპაში უკავიათ.

14. ამ თვალსაზრისით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქარტია არ განიხილავს ურთიერთობას ოფიციალურ ენებსა და რეგიონალურ თუ უმცირესობათა ენებს შორის კონკურენციისა თუ ანტაგონიზმის ჭრილში, არამედ იგი ამკვიდრებს კულტურათა და ენებს შორის ჰარმონიული თანაარსებობის პრინციპს, რომელშიც ყველა ენას თავისი სათანადო ადგილი უკავია. ასეთი მიდგომა სრულად შეესაბამება ევროპის საბჭოს მიერ აღიარებულ ფასეულობებს და მის ძალისხმევას ხელი შეუწყოს ხალხებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, საერთო ევროპული თანამშრომლობის განმტკიცებასა და კულტურული ურთიერთკავშირების გაღრმავების საფუძველზე მეტი

ურთიერთგაგების მიღწევას ერთ სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

15. ქარტია არ ეხება ქარტიის მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე ბოლოდროინდელი, მათ შორის ეკონომიკური მოტივებით განპირობებული მიგრაციული პროცესების შედეგად გაჩენილი ახალი, ხშირად არაევროპული წარმომავლობის ენების მდგომარეობას. იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობენ ამ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფები, წარმოიშვება მათი დანარჩენ მოსახლეობასთან ინტეგრაციის სპეციფიკური პრობლემები. ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ აღნიშნული პრობლემების მოგვარება ცალკე ყურადღების ღირსია, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილი სამართლებრივი აქტით ამ საკითხების რეგულირების გზით.

16. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს ზოგიერთი წევრი ქვეყანა უკვე ატარებს ამ სფეროში პოლიტიკას, რომელიც სცილდება კიდეც ქარტიის რიგ მოთხოვნებს. ქარტია არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მისმა დებულებებმა შეიძლება შეზღუდოს ცალკეულ სახელმწიფოთა უფლება დაისახონ უფრო შორსმიმავალი მიზნები.

## ძირითადი ცნებები და მიდგომა

*ენის ცნება*

17. ენის ცნება, რა მნიშვნელობითაც იგი ქარტიაშია გამოყენებული, უპირველეს ყოვლისა მოიაზრებს ენას, როგორც კულტურის შემადგენელ ნაწილს. სწორედ ამიტომ იგი არ არის განსაზღვრული სუბიექტური კატეგორიებით, როგორიცაა პიროვნების უფლება, ანუ უფლება ილაპარაკო "მშობლიურ ენაზე". ქარტია არ განსაზღვრავს ენას არც სოციალურ-პოლიტიკური, თუ ეთნიკური ნიშნით, როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური, თუ ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის საშუალებას. ამგვარად, ქარტია არ იძლევა ენობრივი უმცირესობების ცნების განსაზღვრებას, რამდენადაც მისი მიზანია არა ეთნიკური და/თუ კულტურული უმცირესობების უფლებათა ჩამოყალიბება, არამედ უშუალოდ რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვა და ხელშეწყობა.

*გამოყენებული ტერმინოლოგია*

18. ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია არ გამოეყენებინა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა "ნაკლებად გავრცელებული ენები" და უპირატესობა მიანიჭა ტერმინს "რეგიონალური და უმცირესობათა ენები". "რეგიონალური" აღნიშნავს ენებს, რომლებიც გავრცელებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში, სადაც ეს ენა აქ მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისათვის მშობლიური ენას შეიძლება წარმოადგენდეს. ტერმინი "უმცირესობა" ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხი არ არის კონცენტრირებულად განსახლებული სახელმწიფოს ტერიტორიის ერთ რომელიმე ნაწილში ან როდესაც ამ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფი, მართალია კონცენტრირებულად ცხოვრობს სახელმწიფოს გარკვეულ ტერიორიაზე, მაგრამ იგი უფრო მცირერიცხოვანია ვიდრე აღნიშნულ ტერიტორიის დანარჩენი მოსახლეობა, რომელიც ამ სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე ლაპარაკობს. მაშასადამე, ორივე ტერმინი ფაქტობრივ კრიტერიუმებს ეყრდნობა და არა სამართლებრივ ცნებებს და ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება. მაგალითად, უმცირესობის ენა ერთ სახელმწიფოში შეიძლება სხვა სახელმწიფოში უმრავლესობის ენა იყოს.

*რეგიონალური და უმცირესობათა ენების განსხვავებული "კატეგორიების" არარსებობა*

19. ევროპის სხვადასხვა რეგიონალური და უმცირესობათა ენები მრავალი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთი ენა გავრცელებულია შედარებით ფართო გეოგრაფიულ არეალში, მასზე საუბრობს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა, ამ ენებს მყარი პოზიცია უკავია საზოგადოების კულურულ ცხოვრებაში და აქვთ განვითარების გარკვეული პოტენციალი. ამავე დროს არსებობენ ენები, რომლებზეც საუბრობს მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, მცირე ტერიტორიაზე და მათი გადარჩენისა და განვითარების პერსპექტივა უკვე ძალზედ შერყეულია.

20. მიუხედავად ამისა, ქარტიის ავტორებმა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად მოეხდინათ ენების სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფა იმ განსხვავებული ობიექტური პირობების მიხედვით, რომელშიც არსებობენ და ფუნქციონირებენ ეს ენები, რამდენადაც შეუძლებელი იქნებოდა ევროპაში არსებულ მრავალგვარ ენობრივ სიტუაციათა სრული და ადეკვატური წარმოჩენა. თითოეული რეგიონალური თუ უმცირესობის ენა განსხვავებული სპეციფიკით გამოირჩევა და არ იქნებოდა უპრიანი რაიმე ნიშნით ამ ენების სხვადასხვა ჯგუფებში მოქცევა. საბოლოოდ გადაწყდა გამოყენებულიყო რეგიონალური და უმცირესობათა ენების ერთიანი ცნება და ამავე დროს ცალკეულ სახელმწიფოებს ჰქონოდათ შესაძლებლობა თავად განესაზღვრათ ის ვალდებულებები, რომლებსაც ისინი იკისრებდნენ თითოეული კონკრეტული რეგიონალური თუ უმცირესობის ენის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

*ევროპის რეგიონალური და უმცირესობათა ენების ჩამონათვალის არარსებობა*

21. ქარტიაში არ არის მოცემული იმ კონკრეტული ევროპულ ენების ჩამონათვალი, რომლებიც შეესაბამება ამ ქარტიის პირველ მუხლში განაზღვრული რეგიონალური და უმცირესობათა ენების ცნებას. ევროპაში არსებული ენების მდგომარეობის წინასწარი შესწავლის შედეგად, რომელიც ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოთა კონგრესის მუდმივმოქმედი კომიტეტის გადაწყვეტილებით განხორციელდა, ქარტიის ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ქარტიისათვის თან დაერთოთ რეგიონალური და უმცირესობათა ენების სია. რაოდენ კომპეტენტურნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ამ სიის შემდგენლები, ლინგვისტური თუ სხვა სახის არგუმენტების გამო, იგი უეჭველად გახდებოდა ცხარე კამათისა და უთანხმოების საგანი. გარდა ამისა, ამგვარი სიის მნიშვნელობა მაინც შეზღუდული იქნებოდა, რამდენადაც ქარტიის III ნაწილში მოცემული ალტერნატიული მოთხოვნების შემთხვევაში სწორედ მხარეები განსაზღვრავენ, თუ რომელ ვალდებულებას იკისრებენ ისინი ამა თუ იმ კონკრეტული ენის მიმართ. ქარტია მხარეებს სთავაზობს სხვადასხვა რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების განსხვავებული სიტუაციებისათვის შესატყვის ღონისძიებებს, მაგრამ წინასწარ არ ადგენს თუ როგორია ეს მოთხოვნები ამა თუ იმ კონკრეტული ენის შემთხვევაში.

*ქარტიის სტრუქტურა*

22. ერთი მხრივ, ქარტია ადგენს იმ საერთო პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება ყველა რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ. ეს პრინციპები მოცემულია ქარტიის II ნაწილში. მეორე მხრივ, ქარტიის III ნაწილი შეიცავს რიგ კონკეტულ დებულებებს იმასთან დაკავშირებით თუ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს საზოგდოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ცალკეული სხელმწიფოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თუ რომელი დებულებები გავრცელდება თითოეული იმ ენის მიმართ, რომელიც გავრცელებულია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ბევრი დებულება შეიცავს სხვადასხვა ხარისხის ალტერნატიულ მოთხოვნებს, რომელთა

შორის უნდა შერჩეულ იქნას ერთი "თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე".

23. ამგვარი მოქნილი მიდგომა ითვალისწინებს სხვადასხვა რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს შორის ამა თუ იმ თვალსაზრისით არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს (ამ ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობა, მათი განსახლების კომპაქტურობის ხარისხი და სხვ.). მხედველობაში მიიღება ასევე ის ფინანსური დანახარჯები, რასაც მრავალი ამ დებულების შესრულება მოითხოვს, ისევე როგორც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა განსხვავებული ადმინისტრაციული და ფინანსური შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს საშუალება ეძლევათ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები განავრცონ მომავალში მათი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესების კვალობაზე.

24. და ბოლოს, ქარტიის IV ნაწილი შეიცავს დებულებებს ქარტიის გამოყენების, მათ შორის ექსპერტთა კომიტეტის შექმნის თაობაზე, რომელიც გააკონტროლებს ქარტიის მოთხოვნათა განხორციელებას.

## **კომენტარები ქარტიის დებულებებთან დაკავშირებით**

### *პრეამბულა*

25. პრეამბულაში ჩამოყალიბებულია ქარტიის მიზნები და განმარტებულია ის ძირითადი მიდგომა, რომელსაც ქარტია ეყრდნობა.

26. ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო მტკიცე ერთიანობის მიღწევა მათი საზიარო მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების და საერთო ევროპული იდეალების დამკვიდრების მიზნით. ლინგვისტური მავალფეროვნება ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. საერთო ევროპული კულტურა ვერ განვითარდება ენათა სტანტარტიზაციის პირობებში. ხოლო, ევროპაში ტრადიციულად ხმარებული რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვა და გაძლიერება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ისეთი ევროპის მშენებლობაში, რომელიც, ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული იდეალებისა და მისწრაფებების შესაბამისად, მხოლოდ პლურალისტურ პრინციპებს შეიძლება ეფუძნებოდეს.

27. პრეამბულაში მოხსენებულია გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ევროპული კონვენცია ადმიანის უფლებათა შესახებ. პრეამბულაში ასევე მოყვანილია ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში ნაკისრი პოლიტიკური ვალდებულებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ისტორიულად გავრცელებული ზოგიერთი რეგიონალური და უმცირესობათა ენების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა ამ ენების მატარებელთა მიმართ არ არის საკმარისი გარანტია მათი გადარჩენასა და განვითარებას უზრუნველსაყოფად მომავალში. ამისათვის აუცილებელია საგანგებო ზომების მიღება, რომლებიც გაითვალისწინებს ამ ენებზე მოლაპარაკეთა ინტერესებსა და სურვილებს.

28. ქარტის არსი და სულისკვეთება სრულად ითვალისწინებს სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპს. ყველა სახელმწიფოს მოეთხოვება მხედველობაში მიიღოს არსებული კულტურული და სოციალური რეალიები ქვეყნის კანონიერად აღიარებული პოლიტიკური თუ ინსტიტუციონალური მოწყობის ფარგლებში. სწორედ იმის გამო, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები აღიარებენ დღეს არსებულ ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ

მოწყობას, მათ სწამთ, რომ აუცილებელია თითოეული სახელმწიფოს შიგნით, თუმცა ერთობლივი ძალისხმევით, გატარდეს ზომები რეგიონალური და უმცირესობათა ენების ხელშეწყობის მიზნით.

29. სხვადასხვა კულტურათა შორის ურთიერთპატივისცემისა და მრავალენობრიობის პრინციპების აღიარება მიზნად ისახავს გამორიცხოს ქარტიის ნებისმიერი უმართებულო ინტერპრეტაცია, როგორც ლინგვისტური ჯგუფების რაიმე ფორმით გამოყოფის მცდელობა. პირიქით, ქარტია აღიარებს, რომ ყველა სახელმწიფოში აუცილებელია სახელმწიფო ენის (ან ერთ-ერთი სახელმწიფო ენის) ცოდნა; ამდენად, ქარტიის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ოფიციალური ენის/ენების შესწავლის თვალსაზრისით რაიმე დაბრკოლებების შექმნის მცდელობა.

## ნაწილი I – ზოგადი დებულებები

### *მუხლი 1 – განსაზღვრებები*

"რეგიონალური და უმცირესობათა ენების" განსაზღვრება (მუხლი 1, პუნქტი ა)

30. ქარტიაში გამოყენებული განსაზღვრება ყურადღებას ამახვილებს სამ ასპექტზე:

*სახელმწიფოში ტრადიციულად გავრცელებული ენები:*

31. ქარტია მიზნად არ ისახავს ბოლოდროინდელი მიგრაციული პროცესებით განპირობებული პრობლემების გადაჭრას. ამ პროცესების შედეგად იმიგრაციის ქვეყანაში წარმოიშვება უცხო ენაზე მოლაპარაკე ჯგუფები, ხოლო მათი დაბრუნების შემთხვევაში ზოგჯერ ასეთი ჯგუფები ჩნდება ასევე იმ ქვეყანაში, საიდანაც თავდაპირველად მოხდა მათი ემიგრირება. ქარტია არ ეხება ისეთ მოვლენას, როგორიცაა ევროპაში უკანასკნელ დროს გაჩენილი არაევროპულენოვანი ჯგუფები, რომელთაც ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქობა მიიღეს. ისეთი გამოთქმები, როგორიცაა "ევროპაში ისტორიულად გავრცელებული რეგიონალური და უმცირესობათა ენები" (იხ. პრეამბულის მე-2 აბზაცი) და ენები, რომლებიც "ტრადიციულად გამოიყენება" სახელმწიფოში (მუხლი 1.ა) ნათლად აჩვენებს, რომ ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

*განსხვავებული ენები:*

32. ეს ენები უნდა მკაფიოდ განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს, თუმცა ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად. ამ სადავო საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის განსაზღვრისას ქარტია პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელმაც დემოკრატიულ პრინციპების გათვალისწინებით თავად უნდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი.

*ტერიტორიული ბაზა:*

33. ქარტია ძირითადად ეხება იმ ენებს, რომლებსაც განსაზღვრული ტერიტორიული ბაზა გააჩნიათ, ანუ ტრადიციულად არიან გავრცელებული ამა თუ იმ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. აქედან გამომდინარე, ქარტია განსაზღვრავს "იმ ტერიტორიას, რომელზეც გავრცელებულია რეგიონალური და უმცირესობათა ენა". აღნიშნული ტერმინი არ მოიცავს მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელზეც ეს ენა ყველაზე ფართოდ გავრცელებული ენაა ან რომელზეც მოსახლეობის უმრავლესობა საუბრობს, რამდენაც ბევრი ენა უმცირესობის ენად იქცა იმ გეოგრაფიულ რეგიონშიც კი, სადაც ისინი ამ რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის მშობლიურ ენას წარმოადგენენ. ის, რომ ქარტია უმთავრესად ეხება განსაზღვრული ტერიტორიული ბაზის მქონე ენებს, იმითაა განპირობებული, რომ ქარტიაში გათვალისწინებულ ღონისძიებათა უმრავლესობა უნდა განხორციელდეს იმ ტერიტორიაზე, სადაც გავრცელებულია ესა თუ ის კონკრეტული ენა და არა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცხადია, არის შემთხვევები, როდესაც მოცემულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ერთზე მეტი რეგიონალური ან უმცირესობის ენა; ქარტია ასევე ითვალისწინებს ამგვარ შემთხვევებს.

*რეგიონალური და უმცირესობათა ენების ტერიტორიის განსაზღვრება (მუხლი 1, პუნქტი ბ)*

34. აქ იგულისხმება ის ტერიტორია, სადაც ესა თუ ის რეგიონალური ან უმცირესობის ენა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, თუნდაც მასზე საუბრობდეს მხოლოდ მოსახლეობის უმცირესობა, და სადაც ეს ენა ისტორიულად წარმოიშვა. რამდენადაც ამ საკითხთან დაკავშირებით ქარტია საკმაოდ მოქნილ ტერმინოლოგიას გვთავაზობს, თითოეულმა სახელმწიფომ, ქარტიის საერთო სულისკვეთების შესაბამისად და მე-7 მუხლის 1.ბ პარაგრაფში რეგიონალური და უმცირესობათა ენების ტერიტორიის დაცვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული დებულებების გათვალისწინებით, თავად უნდა მისცეს უფრო ზუსტი განსაზღვრება რეგიონალური და უმცირესობათა ენების ტერიტორიის ცნებას ამ ქვეყნის კონტექსტში.

35. ამ დებულებაში მოცემულია შემდეგი მნიშვნელოვანი ფორმულირება: "იმ რაოდენობის ხალხისათვის, რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გამართლებული იყოს". ქარტიის ავტორებმა შეგნებულად არ განსაზღვრეს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა ის პროცენტული შეფარდება, რომლის ზემოთაც სავალდებულო იქნებოდა ქარტიით გათვალისწინებული ზომების გამოყენება. მათ უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ყოველმა სახელმწიფომ, ქარტიის სულისკვეთების შესაბამისად და თითოეული დებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს ამ ენაზე მოლაპარაკეთა ის რაოდენობა, რომელიც გამართლებული იქნება ამა თუ იმ კონკრეტული დებულებით გათვალისწინებული ზომების გასატარებლად.

*"ტერიტორიის არმქონე ენების" განსაზღვრება (მუხლი 1, პუნქტი გ)*

36. "ტერიტორიის არმქონე ენები" არ მიეკუთვნება რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს, რამდენადაც მათ არ გააჩნიათ ტერიტორიული ბაზა, ანუ გავრცელების განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი. თუმცა, სხვა თვალსაზრისით ეს ენები შეესაბამება 1-ლი მუხლის ა პარაგრაფში მოცემულ განსაზღვრებას, რამდენადაც მათზე საუბრობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები. ტერიტორიის არმქონე ენების მაგალითებია იდიში და ბოშათა ენა.

37. რამდენადაც, ეს ენები არ არის გავრცელებული რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე, მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ქარტიის მხოლოდ ზოგიერთი

დებულება. კერძოდ, III ნაწილში მოცემულ დებულებათა უმრავლესობა ითვალისწინებს რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვასა და ხელშეწყობას იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ეს ენებია გავრცელებული. ტერიტორიის არმქონე ენების მიმართ უფრო იოლი იქნება ქარტიის II ნაწილის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ სათანადო ცვლილებების შეტანით (mutatis mutandis) და მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოყალიბებული პირობების დაცვით.

*მუხლი 2 – ნაკისრი ვალდებულებები*

38. მე-2 მუხლი ეხება ქარტიის ორ მთავარ ნაწილს, კერძოდ მის II და III ნაწილებს.

*II ნაწილის განხორციელება (მუხლი 2, პუნქტი 1)*

39. ქარტიის II ნაწილის დებულებები ზოგადი ხასიათისაა და ვრცელდება ქარტიის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავრცელებული ყველა რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზა "თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად" აჩვენებს, რომ ქარტიის პროექტი ისეა ჩაფიქრებული, რომ შეიძლებოდეს მისი გამოყენება იმ განსხვავებულ ენობრივ სიტუაციებში, რომლებიც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში და თითოეული სახელმწიფოს შიგნით შეიძლება არსებობდეს. სახელდობრ, პირველ პუნქტში მოცემულია მოთხოვნა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისობა ქარტიაში ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და მიზნებთან. ეს მიზნები და პრინციპები ზოგადი სახითაა ფორმულირებული და ფართო თავისუფლებას აძლევს მხარეებს მათი განმარტებისა და გამოყენების თვალსაზრისით (იხილეთ II ნაწილთან დაკავშირებით ქვემოთ მოყვანილი კომენტარები).

40. მართალია ქარტიის მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ამა თუ იმ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენას თავიანთი შეხედულებისამებრ მიანიჭონ ქარტიის II ნაწილით გარანტირებული სტატუსი, ან უარი თქვან მისთვის იმ სტატუსის მინიჭებაზე, მათი, როგორც ქარტიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარის, მოვალეობაა გადაწყვიტონ წარმოადგენს თუ არა მოცემული სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებული, ან მისი მოქალაქეების რომელიმე ჯგუფის ენა რეგიონალურ და უმცირესობათა ენას, როგორც ეს უკანასკნელი ქარტიით არის განსაზღვრული.

*III ნაწილის განხორციელება (მუხლი 2, პუნქტი 2)*

41. ქარტიის III ნაწილის მიზანია II ნაწილში ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპების ასახვა კონკრეტულ მოთხოვნებში. ეს ნაწილი სავალდებულოა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ქარტიის II ნაწილში მოცემული დებულებების გარდა, ვალდებულება იღებენ ასევე განახორციელონ III ნაწილის იმ დებულებათა მოთხოვნები, რომლებიც მათ თავად შეარჩიეს. იმისათვის რომ შესაძლებელი ყოფილიყო ქარტიის მისადაგება იმ განსხვავებულ ენობრივ სიტუაციებთან, რომლებიც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში გვხვდება, ქარტიის ავტორებმა გაითვალისწინეს ორმაგი არჩევანის შესაძლებლობა: პირველი, სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ იმ ენებს, რომელთა მიმართაც ისინი ვალდებულებას იღებენ გამოიყენონ ქარტის III ნაწილი და მეორე, თითოეული ამ ენის მიმართ, მათ შეუძლიათ ინდივიდუალურად შეარჩიონ III ნაწილის ის დებულებები, რომლებსაც ისინი ამ კონკეტული ენის მიმართ გამოიყენებენ.

42. სახელმწიფოს უფლება აქვს აღიაროს მის ტერიტორიაზე არსებული ესა თუ ის რეგიონალური ან უმცირესობის ენა, მაგრამ გარკვეული ობიქტური მიზეზების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნიოს არ გამოიყენოს ამ ენის მიმართ ქარტიის III

ნაწილის დებულებები. ცხადია, რომ ის არგუმენტები, რაც განაპირობებს სახელმწიფოს გადაწყვეტილებას არ გამოიყენოს რომელიმე აღიარებული რეგიონალური ან უმცირესობის ენის მიმართ III ნაწილის არც ერთი დებულება, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქარტიის სულისკვეთებას, მიზნებსა და პრინციპებს.

43. თუ სახელმწიფო ვალდებულებას აიღებს გამოიყენოს ქარტიის III ნაწილი მის ტერიტორიაზე გავრცელებული რეგიონალური ან უმცირესობის ენის მიმართ, მან უნდა განსაზღვროს თუ III ნაწილის კონკრეტულად რომელი პუნქტების ვალდებულებებს იკისრებს იგი ამ კონკრეტულ რეგიონალურ ან უმცირესობის ენასთან დაკავშირებით. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მხარეები ვალდებულებას იღებენ მათ მიერ განსაზღვრული თითოეული ენის მიმართ გამოიყენონ III ნაწილის არანაკლებ 35 პუნქტი ან ქვე-პუნქტი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქარტიის მაქსიმალური მისადაგება თითოეული რეგიონალური და უმცირესობის ენის სპეციფიკურ მოთხოვნებთან.

44. ამ მიზნით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული მოთხოვნები მინიმალურადაა განვრცობილი, რათა მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ოპტიმალურად განსაზღვრონ თავიანთი ვალდებულებები ქარტიის სხვადასხვა მუხლებში ჩამოყალიბებული მოთხოვნებიდან და ამდენად მოიცვან რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვის ყველა მნიშვნელოვანი სფერო (განათლება, მართლმსაჯულება, ადმინისტრაცია, სახელმწიფო სამსახურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კულტურა, ეკონომიკა, სოციალური სფერო და სხვ.)

45. ტერმინი "პუნქტები ან ქვე-პუნქტები" აღნიშნავს ქარტიის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დებულებებს. ამგვარად, თუ სახელმწიფო განსაზღვრავს შეასრულოს მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნა, ეს პუნქტი ცალკე ერთეულად ჩაითვლება იმ სავალდებულო 35 პუნქტსა და ქვე-პუნქტში, რომლებიც ქვეყანამ უნდა შეარჩიოს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. ანალოგიური მიდგომა გავრცელდება თუ სახელმწიფო ვალებულებას აიღებს მე-8 მუხლის 1.ზ ქვეპუნქტის შესრულებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის პუნქტი ან ქვეპუნქტი რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს ითვალიწინებს, ერთ-ერთი ვარიანტის შერჩევა ერთი ქვე-პუნქტის ტოლფასი იქნება (მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის). მაგალითად, თუ სახელმწიფო შეარჩევს მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის ა. iii ვარიანტს, ეს უკანასკნელი ჩაითვლება "ქვე-პუნქტად". განსხვაეებული მიდგომა მოქმედებს, როდესაც შემოთავაზებული ვარიანტები განიხილება არა აუცილებლად ერთმანეთის ალტერნატიულ, არამედ ურთიერთშემავსებელ დებულებებად. მაგალითად, თუ სახელმწიფო შეარჩევს მე-9 მუხლის I პუნქტის ა. iii და ა. iv ვარიანტებს, ისინი მე-2 მუხლის კონტექსტში ორი ქვე-პუნქტად განიხილება.

46. ამგვარი არჩევანის შესაძლებლობა მეტ მოქნილობას სძენს ქარტიას, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ის მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც არსებობს სხვადასხვა რეგიონალური და უმცირესობათა ენების ფაქტობრივ მდგომარეობას შორის. ცხადია, რომ გარკვეული დებულებები, რომლებიც სრულიად შეესაბამება იმ რეგიონალური ენის მოთხოვნებს, რომელზეც მოსახლეობის დიდი ნაწილი საუბრობს, არ პასუხობს ისეთი უმცირესობის ენის მოთხოვნებს, რომელსაც მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფი იყენებს. სახელმწიფომ თითოეული რეგიონალური და უმცირესობათა ენისათვის უნდა შეარჩიოს ის დებულებები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამ კონკრეტული ენის თავისებურებებსა და განვითარების დონეს. ამგვარი მიდგომის მიზანი ნათლადაა გამოხატული თავად ქარტიის III ნაწილის შესაბამისი მუხლებისა და პუნქტების ფორმულირებაში, სადაც კერძოდ ნათქვამია, რომ მხარეებმა მათი გამოყენება უნდა მოახდინონ "თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად". ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სხვა არსებითი ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, ეს მიდგომა

გულისხმობს, მაგალითად, რომ რაც უფრო მრავალრიცხოვანია ის მოსახლეობა, რომელიც ამა თუ იმ რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე საუბრობს და რაც უფრო ერთგვაროვანია რეგიონის მოსახლეობის შემადგენლობა, მით უფრო "მომთხოვნი" ვალდებულება უნდა იკისროს მის მიმართ სახელმწიფომ. შედარებით "სუსტი" ვარიანტი უნდა შეირჩეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოცემული ენის კონტექსტი არ იძლევა უფრო შორსმიმავალი ზომების განხორციელების საშუალებას.

47. ამდენად, სახელმწიფო თავად განსაზღვრავს III ნაწილის იმ დებულებებს, რომლებიც ერთობლიობაში შექმნიან თითოეული ენის ინდივიდუალური მოთხოვნებისათვის ოპტიმალურად შესატყვის ღონისძიებათა განხორციელების საფუძველს. მხარეებს შეუძლიათ ასევე, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღონ ერთიანი ზოგადი ჩარჩო, რომელიც ყველა ენას ან რომელიმე ენათა ჯგუფს მოიცავს.

*მუხლი 3 – განხორციელების წესი*

48. მე-3 მუხლი აყალიბებს მე-2 მუხლში განსაზღვრული პრინციპების პრაქტიკული განხორციელების პროცედურას: თითოეული მხრე რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელში მიუთითებს, ერთი მხრივ, იმ რეგიონალური და უმცირესობათა ენების ჩამონათვალს, რომელთა მიმართ მოხდება III ნაწილის დებულებათა გამოყენება, და, მეორე მხრივ, განსაზღვრავს III ნაწილის იმ პუნქტებს, რომლებსაც იგი გამოიყენებს თითოეული კონკრეტული ენის მიმართ. ცხადია იგულისხმება, რომ სხვადასხვა ენების მიმართ სახელმწიფოს შეუძლია შეარჩიოს განსხვავებული პუნქტების დებულებები.

49. მე-2 მუხლის თანახმად ქარტია მხარეებს არ ავალდებულებს გამოიყენონ როგორც II ისე III ნაწილები, რამდენადაც სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს კონვენციის რატიფიკაცია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ შეარჩევს არც ერთ ენას, რომლის მიმართაც გავრცელდება III ნაწილის დებულებები. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ქარტიის II ნაწილი. თუმცა, საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქარტიის საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე, იგი მოელის სახელმწიფოებისაგან იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელსაც ქარტიის III ნაწილი იძლევა და რომელიც ქარტიით უზრუნველყოფილი დაცვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

50. ქარტია ასევე შესაძლებლობას აძლევს მხარეებს ნებისმიერ დროს მომავალში იკისრონ ახალი ვალდებულებები, მაგალითად ქარტიის III ნაწილში მოცემული დებულებები გამოიყენონ სხვა რეგიონალური თუ უმცირესობათა ენის/ენების მიმართაც, ან მის ტერიტორიაზე გავრცელებული რომელიმე ენის ან ყველა რეგიონალური თუ უმცირესობის ენების მიმართ იკისროს ქარტიის იმ პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებები, რომელიც მას აქამდე არ ჰქონდა მიღებული.

51. მე-3 მუხლი ითვალისწინებს ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში არსებულ ვითარებას, როდესაც ესა თუ ის ეროვნული ენა, რომელსაც საელმწიფოს ოფიციალური ენის სტატუსი აქვს, მის მთელ ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიის რომელიმე ნაწილში შესაძლოა სხვა თვალსაზრისით რეგიონალური და უმცირესობათა ენების მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდეს (მუხლი 1, პუნქტი ა), რამდენადაც მას შეიძლება იყენებდეს უფრო მცირერიცხოვანი მოსახლეობა, ვიდრე სხვა ოფიციალურ ენაზე/ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობაა. თუ სახელმწიფოს სურს, რომ ამგვარი ნაკლებად გავრცელებული ოფიციალური ენის მიმართაც გამოიყენოს ქარტიით გათვალისწინებული დაცვისა და ხელშეწყობის ზომები, მას შეუძლია მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება. ოფიციალური ენის მიმართ ქარტიის გამოყენების ამგვარი განვრცობა შეიძლება შეეხოს ქარტიის ყველა მუხლს, მათ შორის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს.

*მუხლი 4 – დაცვის არსებული მექანიზმები*

52. ეს მუხლი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს ქარტიასა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობასა თუ საერთაშორისო შეთანხმებებს შორის, რომლებიც ენობრივ უმცირესობათა სამართლებრივ სტატუსს არეგულირებს.

53. თუ გარკვეული ენები ან უმცირესობები, რომლებიც ამ ენებს იყენებენ უკვე სარგებლობენ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებებით მინიჭებული გარკვეული სტატუსით, ქარტია არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს ამ სამართლებრივი აქტებით აღიარებულ მათ უფლებებსა და გარანტიებს, არამედ განავრცობს და აფართოებს მათ. იმ შემთხვევაში თუ წარმოიშვება იურიდიული შეუსაბამობა იმ დებულებებს შორის, რომლებიც ერთსა და იმავე საკითხს აწესრიგებს, უმცირესობებისა თუ მათი ენების მიმართ გამოიყენება უფრო ხელსაყრელი დებულებები. ამდენად, ქვეყნის კანონმდებლობაში ან საერთაშორისო შეთანხმებებში ნაკლებ ხელსაყრელი დებულების არსებობამ დაბრკოლება არ უნდა შეუქმნას ქარტიის განხორციელებას.

54. ამ მუხლის პირველი პუნქტი ეხება ადმიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებულ უფლებებს. მისი მიზანია გამორიცხოს ქარტიის ნებისმიერი იმგვარი ახსნა-განმატება, რამაც შეიძლება შეზღუდოს ამ კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა.

*მუხლი 5 – არსებული ვალდებულებები*

55. როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, რეგიონალური და უმცირესობების ენების დაცვა და ხელშეწყობა უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მლიანობის სრული დაცვის პირობებში. ამასთან დაკავშირებით, მე-5 მუხლში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ ქარტიის მონაწილე მხარეების უფლებები და ვალდებულებები უცვლელი რჩება. კერძოდ ის ფაქტი, რომ ქარტიის რატიფიცირებით სახელმწიფომ გარკვეული ვალდებულებები იკისრა ამა თუ იმ რეგიონალური ან უმცირესობის ენის მიმართ, არ შეიძლება სხვა სახელმწიფომ, რომელსაც განსაკუთრებული ინტერესი აქვს ამ ენის მიმართ, ან ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა გამოიყენონ რაიმე იმგვარი ქმედების გასამართლებლად, რაც საზიანო იქნება ამ სხელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიალური მთლიანობისათვის.

*მუხლი 6 – ინფორმაცია*

56. მე-6 მუხლი ადგენს მხარეების ვალდებულებას უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება. ამგვარი მოთხოვნა იმითაა განპირობებული, რომ ქარტიის მიზნების სრულად განხორციელებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მმართველობის შესაბამისი ორგანოების, დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირების ინფორმირება ქარტიით დადგენილი მოვალეობების შესახებ.

**ნაწილი II – მიზნები და პრინციპები**

*მუხლი 7*

*ქარტიით განსაზღვრული მიზნებისა და პრინციპების ჩამონათვალი (მუხლი 7, პუნქტი 1)*

57. აქ მოცემული დებულებები ეხება ქარტიის მიზნებსა და პრინციპებს და არა უშუალოდ მათი განხორციელების წესებს. ეს მიზნები და პრინციპები ქმნიან რეგიონალური **და**

უმცირესობათა ენების დაცვისა და განვითარებისათვის აუცილებელ საფუძველს. ისინი ექვს მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

*რეგიონალური და უმცირესობათა ენების აღიარება (მუხლი 7, პუნქტი 1,ა)*

58. ეს პუნქტი ეხება ამ ენების არსებობისა და მათი გამოყენების კანონიერების აღიარებას. ამგვარი აღიარება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ამა თუ იმ ენის ოფიციალურ ენად ცნობა. ენის არსებობის აღიარება აუცილებელი წინაპირობაა მისი სპეციფიკისა და მოთხოვნილებების მხედველობაში მიღებისა და ამ ენის ინტერესების გათვალისწინებით კონკტერული ზომების განხორციელებისათვის.

*თითოეული რეგიონალური ან უმცირესობის ენის გავრცელების გეოგრაფიული არეალის პატივისცემა (მუხლი 7, პუნქტი 1.ბ)*

59. თუმცა ქარტია სასურველად მიიჩნევს, რომ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შეესაბამებოდეს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გავრცელების საზღვრებს, ცხადია, რომ ამ მიზნის მიღწევა ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რამდენადაც ამის საშუალებას შეიძლება არ იძლეოდეს მოსახლეობის განსახლების რთული სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გამოყოფას შეიძლება განსაზღვრავდეს სხვა არალინგვისტური ფაქტორები. ამდენად, ქარტია არ მოითხოვს, რომ სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ერთეულები ყოველთვის ემთხვეოდეს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გავრცელების ტერიტორიას.

60. მეორე მხრივ, ქარტია დაუშვებლად მიიჩნევს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იმგვარ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ეჭვის ქვეშ დააყენოს რომელიმე ენის გამოყენება თუ გადარჩენა, ან ერთი ენობრივი ჯგუფის დანაწევებულ განსახლებას ქვეყნის სხვადასხვა ადმინისტრაციულ თუ ტერიტორიულ ერთეულებში. თუ ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით შეუძლებელია სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობის მისადაგება არსებული რეგიონალური და უმცირესობათა ენების გავრცელების ტერიტორიასთან, იგი არავითარ შემთხვევაში არახელსაყრელ პირობებში არ უნდა აყენებდეს ამ ენებს. ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოები უფლებამოსილი უნდა იყვნენ მიიღონ ზომები ამ ენებთან დაკავშირებით.

*რეგიონალური და უმცირესობათა ენების ხელშეწყობის მიზნით ქმედითი ზომების მიღების საჭიროება (მუხლი 7, პუნქტი 1.გ და დ)*

61. დღეს უკვე ნათელია, რომ მრავალი რეგიონალური თუ უმცირესობის ენის მდგომარეობა იმდენად მყოფია, რომ მათი გადარჩენისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ დისკრიმინაციის აკრძალვა ამ ენების მიმართ. მათ ქმედითი მხარდაჭერა ესაჭიროებათ, რაც გათვალისწინებულია 1-ლი პუნქტის გ ქვეპუნქტში. ამ პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებმა თავად უნდა განსაზღვრონ თუ რა ზომებს განახორციელებენ ისინი რეგიონალური და უმცირესობათა ენების გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით, მაგრამ ქარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი მოქმედება მტკიცე და მიზანდასახული უნდა იყოს.

62. ამასთან, როგორც ეს 1-ლი პუნქტის დ ქვე-პუნქტშია აღნიშნული, ეს ძალისხმევა უნდა მოიცავდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით რეგიონალური და უმცირესობათა ენების თავისუფალი გამოყენების ხელშეწყობასა და წახალისებას არა მხოლოდ პირად ურთიერთობებში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, ანუ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში, თუ საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთან, კონკრეტული რეგიონალური ან უმცირესობის ენის როლი და ადგილი ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება ამ ენის

ინდივიდუალურ თავისებურებებზე და განსხვავებული იქნება სხვადასხვა ენების შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქარტიაში არ არის მოცემული მკაცრად განსაზღვრული ვალდებულებები ამასთან დაკავშირებით და იგი შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი მოწოდებით რეგიონალური და უმცირესობათა ენების ხელშეწყობის მიზნით მტკიცე ძალისხმევის აუცილებლობის თაობაზე.

*რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლებისა და შესწავლის გარანტიები (მუხლი 7, პუნქტი 1.ვ და თ)*

63. რეგიონალური და უმცირესობათა ენების გადარჩენისა და განვითარების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ადგილი ეთმობათ მათ განათლების სფეროში. ქარტიის II ნაწილი აღიარებს ამ პრინციპს, ამასთან მისი რეალიზებისათვის აუცილებელი კონკრეტული ზომების განსაზღვრის პრეროგატივას თავად სახელმწიფოებს აძლევს. ამასთან, ქარტია მოითხოვს, რომ რეგიონალური და უმცირესობათა ენები განათლების სისტემის "ყველა შესაბამის საფეხურზე" უნდა იყოს წარმოდგენილი. ცხადია, რომ რეგიონალური და უმცირესობათა ენის სწავლების ხასიათი და მიზნები განსხვავებული იქნება განათლების სფეროს სხვადასხვა დონეებზე. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება ამა თუ იმ რეგიონალური თუ უმცირესობის "ენაზე", ხოლო სხვა შემთხვევებში მხოლოდ ამ "ენის" სწავლების უზრუნველყოფა. რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე ან ამ ენების სწავლება შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ განათლების სისტემის იმ საფეხურებზე, რომელზეც ამ ენის თავისებურებებიდან გამომდინარე ეს არ იქნება მიზანშეწონილი.

64. მაშინ როცა პუნქტი 1.ვ ეხება ამა თუ იმ ენაზე ან ამ ენის სწავლების შემოღებასა ან უზრუნველყოფას, როგორც ამ ენის მომავალი თაობებისათვის გადაცემის საშუალებას, პუნქტი 1.თ ითვალისწინებს უნივერსიტეტებსა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ სწავლებისა და ენათმეცნიერული კვლევის ხელშეწყობას, რაც აუცილებელია ამ ენების ლექსიკური, გრამატიკული და სინტაქსური თვალსაზრისით განვითარებისათვის. ამგვარი სამეცნიერო მუშაობის მხარდაჭერა იმ ფართო ძალისხმევის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონალური და უმცირესობათა ენების ხელშეწყობას მათი შემდგომი განვითარების სტიმულირების მიზნით.

*სხვა ენაზე მოლაპარაკე პირებისათვის რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესასწავლად საჭირო პირობების შექმნა (მუხლი 7, პუნქტი 1.ზ)*

65. რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე მოლაპარკე ადამიანებმა იციან, რომ საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზებისათვის მათ აუცილებლად სჭირდებათ ოფიციალური ენის ცოდნა. ამასთან, სხვადასხვა კულტურათა ურთიერთქმედებისა და მრავალენობრიობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, როგორც ეს ხაზგასმითაა აღნიშნული ქარტიის პრეამბულაში, სასურველია, რომ სხვა ენების მიმართ ინტერესი ჰქონდეთ არა მხოლოდ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებს. სხვადასხვა ლინგვისტურ ჯგუფებს შორის კონტაქტებისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობის მიზნით, ქარტია მოუწოდებს მხარეებს რომ იქ, სადაც მოსახლეობა საუბრობს რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე, შექმნან პირობები ამ ენის შესასწავლად იმათთვის, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს და აქვთ მისი შესწავლის სურვილი.

66. ცნობილია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ამა თუ იმ რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების სურვილია, რომ რეგიონალური ენა ყველაზე ფართოდ გავრცელებული ენა იყოს ამ რეგიონში და სათანადო ზომებს იღებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს ენა

იცოდნენ იმ ადამიანებმაც კი, ვისთვისაც იგი მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. ამგვარი პოლიტიკა არ ეწინააღმდეგება ქარტიის მიზნებს, მაგრამ იგი არ არის 1.ზ პუნქტის განზრახვა. ამ პუნქტის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა ლინგვისტურ ჯგუფების მეტ დაახლოებასა და ურთიერთგაგებას მათ შორის.

*ურთიერთობები რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის (მუხლი 7, პუნქტი 1.ე და ი)*

67. აუცილებელია, რომ ერთისა და იმავე რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შესაძლებლობა ჰქონდეთ განავითარონ კულტურული თუ სხვა ურთიერთობები, რათა ერთობლივად შეუწყონ ხელი მათი მშობლიური ენის შენარჩუნებასა და გამდიდრებას. ამ მიზნით ქარტია ისწრაფვის უზრუნველყოს, რომ ამ ჯგუფების სხვადასხვა ტერიტორიებზე განსახლებამ, სახელმწიფოს ადმინისტრაციულმა დაყოფამ თუ იმან, რომ ამგვარი ჯგუფები სხვადასხვა სახელმწიფოებში ცხოვრობენ, დაბრკოლება არ შეუქმნას მათ შორის ურთიერთობების განვითარებას.

68. რასაკვირველია, ერთი და იმავე რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა შორის სიახლოვის ბუნებრივმა განცდამ არ უნდა გამოიწვიოს კარჩაკეტილობა და გამიჯვნა სხვა სოციალური ჯგუფებისაგან. ქარტიის მიზანია ხელი შეუწყოს მათი კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას სხვა რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებთან და ამდენად ემსახურება კულტურული ურთიერთგამდიდრებისა და სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ჯგუფს შორის მეტი ურთიერთგაგების მიღწევის მიზნებს.

69. პუნქტი 1.ი ეხება ამ საკითხის კიდევ ერთ ასპექტს. კერძოდ კი მასში ნათქვამია, რომ ამგვარი ურთიერთობები უნდა არსებობდეს აგრეთვე ერთი და იმავე ან მსგავს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებში ცხოვრობენ. რეგიონალურ და უმცირესობათა ენების განსაზღვრების თანახმად, ამ ენებზე ლაპარაკობს სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ კულტურული კავშირები განავითარონ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ იმ ჯგუფებთან, რომლებიც იმავე ან მსგავს ენაზე ლაპარაკობენ. ამგვარი ტრანსსასაზღვრო კონტაქტების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ის ენა, რომელიც ერთ სახელმწიფოში რეგიონალურ ენას წარმოადგენს, ამავე დროს კულტურული თვალსაზრისით წამყვან ან ოფიციალურ ენადაც კი გვევლინება მეორე სახელმწიფოში. აუცილებელია, რომ სახელმწიფოებმა გააცნობიერონ ამგვარი ურთიერთობების საჭიროება და არ განიხილონ იგი სახელმწიფოსადმი არალოიალური დამოკიდებულების გამოხატულებად ან საფრთხედ მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის. ქვეყანაში მცხოვრები ყველა ენობრივი ჯგუფი უფრო ინტეგრირებულად იგრძნობს თავს სახელმწიფოში, რომელიც აღიარებს მას ამ სტატუსით და არ შეზღუდავს კულტურის სფეროში მის კონტაქტებს მეზობელ სახელმწიფოში მცხოვრებ ჯგუფებთან.

70. მხარეებმა თავად უნდა განსაზღვრონ სახელმწიფოებს შორის ამგვარი ურთიეთგაცვლების უზრუნველყოფის ოპტიმალური გზები და ფორმები, განსაკუთრებით კი იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ქვეყნის შიგნით, თუ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე. უფრო კონკრეტული ვალდებულებები მოცემულია III ნაწილის მე-14 მუხლში.

*დისკრიმინაციის აღკვეთა (მუხლი 7, პუნქტი 2)*

71. რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვა ის მინიმალური გარანტიაა, რომლითაც ამ ენებზე მოლაპარაკეები უნდა იქნენ უზრუნველყოფილი. ამ მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ აღკვეთონ ნებისმიერი იმგვარი მოპყრობა, რომელიც დაბრკოლებას უქმნის რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებას ან ხელს უშლის მათ დაცვასა და განვითარებას.

72. ამასთან, ამ პუნქტის განზრახვა არ არის ენებს შორის სრული თანაბარუფლებიანობის დამყარება. როგორც მოცემული ფორმულირებები მიუთითებს (სახელდობრ ტექსტში სიტყვის "გაუმართლებელი" შეტანა), რეგიონალური და უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით დასაშვებია სხვადასხვა ენების მიმართ განსხვავებული პოლიტიკის წარმოება. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ ეროვნული თუ ოფიციალური ენის გამოყენებასთან დაკავშირებით დადგენილი პრივილეგიები არ განიხილება რეგიონალური ენების დისკრიმინაციად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგივე არ ვრცელდება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. თუმცა, ამგვარი უპირატესი ხელშეწყობის ზომები დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვასა და განვითარებას.

73. ამავე დროს, სწორედ იმიტომ, რომ ოფიციალური ენების მდგომარეობა განსხვავდება რეგიონალური და უმცირესობათა ენების მდგომარეობისაგან და რომ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეები ხშირად არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან, ქარტია ითვალისწინებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი იყოს ქმედითი ზომების განხორციელება ამ ენების გადარჩენისა და განვითარების მიზნით. რეგიონალური და უმცირესობათა ენების ინტერესების გათვალისწინებით ამგვარი საგანგებო ზომების მიღება, თუ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ენებს შორის მეტი თანასწორობის მიღწევას ემსახურება, არ შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულ ქმედებად სხვა ენების მიმართ.

*ლინგვისტურ ჯგუფებს შორის პატიცისცემისა და ურთიერთგაგების დამყარება (მუხლი 7, პუნქტი 3)*

74. რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ პატივისცემა და მათდამი ტოლერანტული დამოკიდებულების დამკვიდრება ემსახურება ქვეყანაში ლინგვისტური პლურალიზმისადმი სათანადო პატიცისცემის ატმოსფეროს შექმნის ზოგად ამოცანას. ამგვარი სულისკვეთების ჩამოყალიბება განათლების სისტემისა და მასმედიის მეშვეობით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გადარჩენისა და განვითარების თვალსაზრისით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ამგვარი მიზნების დასახვა არ განიხილება არაკანონიერი ჩარევის მცდელობად სახელმწიფოს მხრიდან; უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემის, უმცირესობებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებისა და სიძულვილის გაღვივების დაუშვებლობის მოთხოვნა ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ სავალდებულოდაა მიჩნეული მასმედიისათვის. ამგვარი მიდგომა ასევე ითვალისწინებს, რომ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებმა ანალოგიური დამოკიდებულება უნდა გამოიჩინონ უმრავლესობის ენებისა და კულტურათა მიმრთ.

*რეგიონალური და უმცირესობათა ენების ინტერესების გამომხატველი ორგანოების შექმნა (მული 7, პარაგრაფი 4)*

75. ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა მნიშვნელოვნად მიინია, რომ ყველა ქვეყანაში არსებობდეს სათანადო მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გაითვალისწინონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა სურვილები და მოთხოვნილებები. ამდენად, ქარტია სასურველად მიიჩნევს, რომ ყოველი

რეგიონალური და უმცირესობის ენისათვის  არსებობდეს სპეციალური ორგანო, რომელიც წარმოადგენს ამ ენის ინტერესებს სახელმწიფოს დონეზე, განახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს მისი ხელშეწყობის მიზნით და კონტროლს გაუწევს ამ ენის მიმართ ქარტიით აღებული ვალდებულებების განხორციელებას. ფრაზა "აუცილებლობის შემთხვევაში" კერძოდ მიუთითებს, რომ იქ, სადაც ამა თუ იმ ფორმით ამგვარი სტრუქტურები უკვე არსებობენ, ქარტიის მიზანს არ წარმოადგენს მოუწოდოს სახელმწიფოებს შექმნან ახალი ორგანოები, რომლებიც ამ სტრუქტურების დუბლირებას მოახდენენ.

*ქარტიის გამოყენება ტარიტორიის არმქონე ენებთან დაკავშირებით (მუხლი 7, პუნქტი 5)*

76. მიუხედავად იმისა, რომ ქარტია ძირითადად შეეხება იმ ენებს, რომლებიც ისტორიულად გაიგივებულია სახელმწიფოს ამა თუ იმ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალთან, ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაეთვალისწინებინა აგრეთვე ის ენები, რომლებიც მართალია ტრადიციულად გამოიყენება ამა თუ იმ სახელმწიფოში, მაგრამ არა აქვს გავრცელების განსაზღვრული ტერიტორია.

77. ამასთან ქარტია ითვალისწინებს, რომ ვინაიდან II ნაწილში ჩამოყალიბებული დებულებებიდან ბევრი უნდა განხორციელდეს გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში და რთულია კონკრეტული ზომების მიღება მათი რეალიზების მიზნით შესაბამისი ტერიტორიის განსაზღვრის გარეშე, შეუძლებელია სათანადო მოდიფიკაციის გარეშე ამ დებულებების გამოყენება ტერიტორიის არმქონე ენების მიმართ. მე-5 პუნქტში შესაბამისად ნათქვამია, რომ ამ ენებთან დაკავშირებით აღნიშნული დებულებები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია არსებული ობიექტური რეალობის გათვალისწინებით.

78. 1-4 პუნქტებში მოცემული ზოგიერთი დებულება შეიძლება განსაკუთრებული სირთულის გარეშე განხორციელდეს ტერიტორის არმქონე ენების მიმართაც. ასეთია, მაგალითად, ამ ენების აღიარება, მათ მიმართ პატივისცემისა და ტოლერანტული დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნა, დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა და ქმედითი ზომების მიღება მათი ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ ამ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის კონტაქტების განვითარება და ამ ენების კვლევისა და მათი შესწავლის ხელშეწყობა. მეორე მხრივ, შეუძლებელი იქნება ტერიტორიის არმქონე ენების მიმართ გამოყენებულ იქნეს დებულებები, რომლებიც ეხება ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობას, ან ამ ენების სწავლებას მათთვის, ვისთვისაც ისინი მშობლიური არ არის, რამდენადაც ამგვარი ზომების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში. და ბოლოს, ამ ენების სწავლებისა და შესწავლისათვის, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით პირობების უზრუნველყოფა პრაქტიკული მოსაზრებებით ალბათ შესაძლებელი იქნება მხოლოდ შესაბამის დებულებებში გარკვეული შესაწორებების შეტანით.

**ნაწილი III – მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშეწყობის ზომები**

*მუხლი 8 – განათლება*

79. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გავრცელებულია ესა თუ ის რეგიონალური ან უმცირესობის ენა. ამ დებულებების გამოყენება ხდება "თითოეული ამ ენის კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით". როგორც მე-2 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით იყო აღნიშნული, ეს შენიშვნა

უწინარეს ყოვლისა ეხება იმას, თუ ა-ვ ქვე-პუნქტებით გათვალისწინებულ რომელ ალტერნატიულ ვალდებულებებს შეარჩევს სახელმწიფო თითოეულ რეგიონალურ ან უმცირესობის ენასთან დაკავშირებით.

80. ფრაზა "ისე, რომ უარყოფითი გავლენა არ იქონიოს სახელმწიფო ენის (ენების) სწავლებაზე", მიზნად ისახავს გამორიცხოს მე-8 მუხლის 1 პუნქტის დებულებების, განსაკუთრებით ა-ვ ქვე-პუნქტებში მოცემული პირველი ალტერნეტიული ვალდებულების ნებისმიერი ისეთი ახსნა-განმარტება, რომელიც უმრავლესობის ენის (ენების) სასწავლო პროგრამიდან ამოღებას შეიძლება გულისხმობდეს. ლინგვისტური გეტოების შექმნის ნებისმიერი ამგვარი მცდელობა შეუთავსებელია სხვადასხვა კულტურათა შორის ურთიერთობისა და მრავალენოვნების იმ პრინციპებთან, რომლებიც პრეამბულშია ჩამოყალიბებული და საზიანოა მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფების ინტერესებისათვის. იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც ქარტია გამოიყენება ნაკლებად გავრცელებული ოფიციალური ენების მიმართ, ეს ფრაზა გაგებულ უნდა იქნეს ისე, რომ 1-ლი პუნქტის დებულებების განხორციელება უარყოფითად არ იმოქმედებს სხვა ოფიციალური ენების სწავლებაზე.

81. მე-8 მუხლი ეხება განათლების სხვადასხვა საფეხურებს: სკოლამდელ, დაწყებით, საშუალო, ტექნიკურ და პროფესიულ, უმაღლეს და უწყვეტ განათლებას მოზრდილთათვის. ყოველი მათგანისათვის მოცემულია სხვადასხვა რეგიონალური და უმცირესობათა ენების კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი ალტერნატიული ვალდებულებები.

82. ზოგიერთ ქვე-პუნქტში გამოყენებულია ფრაზა "რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება". იგი ითვალისწინებს, რომ ხელისუფლებას არ მოეთხოვება აღნიშნული ზომების მიღება, თუ მოცემული ლინგვისტური ჯგუფის შემთხვევაში რთულია მოწაფეთა აუცილებელი მინიმალური რაოდენობის შეკრება. მეორე მხრივ, რეგიონალური და უმცირესობათა ენების განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო მოქნილი მიდომა და ერთი კლასისათვის დადგენილ კვოტაზე ნაკლები რაოდენობის მოსწავლე "ჩაითვალოს საკმარისად".

83. გ და დ ქვე-პუნქტების iv ალტერნატიული ვალდებულებები მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ სრულწლოვანების ასაკი, აგრეთვე საშუალო და ტექნიკური/პროფესიული განათლების დამთავრების ასაკი სხვადასხვა სახელმწიფოების კანონმდებლობაში განსხვავებულადაა რეგულირებული. ამდენად, ყოველი კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, უნდა გათვალისწინებული იქნეს ან თავად მოწაფეების, ან მათი ოჯახების სურვილები.

84. ცნობილია, რომ ყველა ქვეყანაში საშუალო და პროფესიულ განათლება განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურებად არ განიხილება და ეს უკანასკნელი ზოგიერთ სახელმწიფოში საშუალო განათლების ერთ-ერთ ფორმად მოიაზრება. გ და დ ქვე-პუნქტებში მოცემული დებულებები მხედველობაში იღებს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პროფესიული განათლების სისტემებს შორის არსებულ განსხვავებას. კერძოდ, იმ სახელმწიფოებს, სადაც პროფესიული განათლება ძირითადად პრაქტიკული სწავლებისა და შეგირდობის ფორმით ხორციელდება და ამდენად რთულია ამ საფეხურზე რაიმე ორგანიზებული ზომების განხორციელება რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლების ხელშეწყობის მიზნით, ქარტია შესაძლებლობას აძლევს ამის სანაცვლოდ უფრო მომთხოვნი ვალდებულებები აიღოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან დაკავშირებით.

85. ის დებულებები, რომლებიც ეხება საუნივერსიტეტო განათლებას და განათლებას მოზრდილთათვის, ისევე, როგორც განათლების სხვა სფეროებთან დაკავშირებული დებულებები იძლევა არჩევანის საშუალებას რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე სწავლებისა ან ამ ენების, როგორც ერთ-ერთი დისციპლინის, სწავლებას შორის. გარდა ამისა, როგორც ეს სკოლამდელი განათლების შემთხვევაშია, ქარტია ითვალისწინებს სხვა მიდგომებსაც იმ შემთხვევებში, როდესაც განათლების სისტემის ესა თუ ის საფეხური არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უშუალო კომპეტენციის სფეროში. ზოგიერთ სახელმწიფოში რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობა შეიძლება არასაკმარისად იქნეს მიჩნეული უმაღლეს სასწავლებლებში ამ ენაზე სწავლებისა თუ პროგრამაში ამ ენის, როგორც ერთ-ერთი დისციპლინის, შეტანისათვის. ამასთან დაკავშირებით, მოყვანილია იმ სახელმწიფოების მაგალითი, რომლებიც შესაბამისი ორმხრივი შეთანხმების ან დიპლომების ურთიერთცნობის შესახებ ზოგადი შეთანხმების საფუძველზე აღიარებენ საუნივერსიტეტო ხარისხს, რომელსაც რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე მოლაპარაკე პირი მიიღებს იმ სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებაში, სადაც იგივე ენა გამოიყენება.

86. I.ზ პუნქტის მიზანია, რომ რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლება არ ხორციელდებოდეს მათი კულტურული კონტექსტიდან მოწყვეტით. ამ ენებს ხშირად უნიკალური ისტორია და ტრადიციები აქვთ. ეს ისტორია და რეგიონალური ან უმცირესობის კულტურა ევროპის მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამდენად სასურველია, რომ მათ, ვისთვისაც ეს ენები მშობლიურ ენას არ წარმოადგენს, შესაძლებლობა ჰქონდეთ ეზიარონ ამ კულტურას.

87. სახელმწიფოს ვალდებულება ხელმისაწვდომი გახადოს რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლება გულისხმობს სათანადო ფინანსურ, საკადრო და სასწავლო მასალებით უზრუნველყოფას. ეს მოთხოვნა ქარტიაში არ არის ჩამოყალიბებული ცალკე დებულების სახით, თუმცა ხაზგასმითაა აღნიშნული მაღალკვალიფიციური კადრებისა და ამ მიზნით მათი პროფესიული მომზადების აუცილებლობა. ეს საკითხის უმნიშვნელოვანი მხარეა და ამდენად იგი საგანგებოდაა გათვალისწინებული ქარტიის I.თ პუნქტის მოთხოვნებში.

88. რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვისა და განვითარების საქმეში განათლებისა და კერძოდ კი სასკოლო სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა აუცილებლად მიიჩნია ისეთი ორგანოს ან ორგანოების შექმნა, რომლებსაც დაევალებათ ამ სფეროში გატარებულ ღონისძიებებზე კონტროლი. პუნქტი I.ი არ განსაზღვრავს აღნიშნული საზედამხედველო ორგანოს ზუსტ კომპეტენციას. ამდენად, ეს შეიძლება იყოს საგანმანათლებლო უწყება ან დამოუკიდებელი სტატუსის მქონე სტრუქტურა. ამგვარი ფუნქცია შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე იმ ორგანოს, რომლის შექმნაც ქარტიის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით არის გათვალისწინებული. თუმცა, როგორი მიდგომაც არ უნდა შეარჩიოს ქვეყანამ ამასთან დაკავშირებით, ქარტია მოითხოვს აღნიშული ორგანოს მუშაობის დასკვნების საჯაროდ გამოქვეყნებას.

89. ქარტია ძირითადად ითვალისწინებს რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვას მათი ტრადიციული გავრცელების ტერიტორიაზე. თუმცა, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადენს. იგი მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე პირობებში, რომელიც ადამიანთა მზარდი მობილურობით ხასიათდება, მხოლოდ ტერიტორიული პრინციპი შეიძლება ყოველთვის საკმარისი არ  აღმოჩნდეს ამა თუ იმ რეგიონალური ან უმცირესობის ენის ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ამ ენებზე მოლაპარაკე ბევრი ადამიანი გადავიდა დიდ ქალაქებში

საცხოვრებლად. თუმცა, იმ სირთულეების გათალისწინებით, რაც დაკავშირებულია ამ მუხლის დებულებათა პრაქტიკულ გამოყენებასთან რეგიონალური და უმცირესობათა ენების გავრცელების ტერიტორიის მიღმა, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ფორმულირებულია მოქნილი წესით და იგი შესაბამისი ზომების გატარებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარეკეთა რაოდენობა ამას ამართლებს.

*მუხლი 9 – მართლმსაჯულების ორგანოები*

90. ამ მუხლის 1-ლი პუნქტი ეხება მართლმსაჯულების განხორციელებას იმ ტერიტორიებზე, სადაც "რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამართლებს" ამ მუხლში გათვალისწინებული ზომების მიღებას. ეს შენიშვნა ნაწილობრივ შეესაბამება ქარტიის დებულებათა უმავლესობაში გათვალისწინებულ ზოგად წესს, რომელიც ითვალისწინებს რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვას მათი ტრადიციული გავრცელების ტერიტორიის ფარგლებში.

91. მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადების ფორმულირებისას ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა აგრეთვე გაითვალისწინა რეგიონალურ და უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით ამ ქარტიით დადგენილი მოთხოვნების ბოროტად გამოყენებისაგან სასამართლო სისტემის ისეთი ფუძემდებლური პრინციპების დაცვის გარანტიები, როგორიცაა მხარეთა თანაბარუფლებიანობა და ნებისმიერი გაუმართლებელი გაჭიანურების დაუშვებლობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. თუმცა ამგვარი კანონიერი სიფრთხილე, არ შეიძლება ამართლებდეს ნებისმიერ ზოგად შეზღუდვას ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თვალსაზრისით, არამედ მოსამართლემ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს აქვს თუ არა ადგილი ამ დებულებებით მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენებას.

92. ქარტია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის სფეციფიკიდან გამომდინარე ალტერნატიულ ვალდებულებებს. "და/ან" კომბინაცია მიუთითებს, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება კუმულაციური პრინციპით განხორციელდეს.

93. მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები ეხება სასამართლოებში დავის განხილვას. თითოული სახელმწიფოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, ტერმინი "სასამართლო" უნდა გულისხმობდეს ყველა ორგანოს, რომელიც მართლმსაჯულების ფუნქციას ახორციელებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ ქვე-პუნქტის შემთხვევაში.

94. მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის ა, ბ და გ ქვე-პუნქტებით განსაზღვრულ პირველ ალტერნატიულ ვალდებულებებში გამოყენებულია ფრაზა "სამართალწარმოება რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე". ეს გამონათქვამი გულისხმობს, რომ რეგიონალური ან უმცირესობის ენა გამოიყენება იმ სასამართლო განხილვაზე ან საპროცესო ეტაპებზე მაინც, რომელშიც მონაწილეობს ამ ენაზე მოლაპარაკე მხარე. ამასთან, ტერმინის "სამართალწარმოება" გამოყენების ზუსტი სფერო თითოეული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად განისაზღვრება, ამ სახელმწიფოს კანონმდელობის შესაბამისად.

95. უნდა აღინიშნოს, რომ პუნქტი 1.ა.ii რომლის თანახმადაც მხარეები ვალდებულებას იღებენ უზუნველყონ, რომ ბრალდებული სარგებლობდეს მისი მშობლიური რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენების უფლებით, სცილდება ბრალდებული პირის ადამიანის

უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 3.ე პუნქტით გათვალისწინებული უფლებას, რომლის შესაბამისადაც ბრალდებულს შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახაზინო წესით, თუ მას არ ესმის ან ვერ საუბრობს სამართალწარმოების ენაზე. მოცემული დებულება, ბ.ii და გ.ii ქვე-პუნქტების მსგავსად, ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე ადამიანმა იცის ოფიციალური ენა, როდესაც მას უწევს გასამართლებელი ჩვენების მიცემა სასამართლოსათვის, მას შეიძლება გაუჩნდეს აზრის გამოხატვის მოთხოვნილება იმ ენაზე, რომელიც ემოციურად უფრო ახლოა მისთვის, ან რომელზეც მას უფრო თავისუფლად შეუძლია საუბარი. ამდენად, ქარტიის სულისკვეთებასთან შეუსაბამო იქნებოდა, რომ მისი გამოყენება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პრაქტიკული აუცილებლობის შემთხვევებით. მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დებულება გარკვეულწილად სცილდება ადამიანის უფლებათა ჩარჩოებს, რამდენადაც იგი აძლევს ბრალდებულს თავისუფალი არჩევანის საშუალებას და ითხოვს, რომ ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს ბრალდებულის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ სახელმწიფოებს მიეცეთ გარკვეული თავისუფლება თავად გადაწყვიტონ აიღებენ თუ არა ისინი ამგვარ ვალდებულებას, თუ არჩევენ მის გამოიყენებას მხოლოდ გარკვეული სასამართლო ოლქების მიმართ.

96. პუნქტი 1.დ ადგენს, რომ მე-9 მუხლის 1. ბ და გ ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომების განხორციელებისათვის აუცილებელი მთარგმნელის ან თარჯიმნის მომსახურების ანაზღაურების ხარჯები არ დაეკისრება მოდავე მხარეს. იმ სახელმწიფოებში, რომლებიც არ აიღებენ ამ ქვე-პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მათ თავად უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხი არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ან ახალი საგანგებო დებულებების მიღებით, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება რეგიონალური და უმცირესობათა ენების ხელშეწყობის საჭიროება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ხარჯები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ აანაზღაუროს იმ პირმა, რომელიც ითხოვს ამგვარ მომსახურებას, ან შეიძლება გადანაწილდეს მოდავე მხარეებზე, ა.შ.

97. მე-2 პუნქტი ეხება რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ლეგიტიმურობას, თუმცა იგი არ განსაზღვრავს იურიდიული დოკუმენტის კანონიერად ცნობისათვის აუცილებელ ყველა პირობას, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ იმის კონსტატაციით, რომ დოკუმენტი არ შეიძლება იქნეს ბათილად მიჩნეული მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი რეგიონალური ან უმცირესობის ენაზეა შედგენილია. გარდა ამისა, აღნიშნული დებულება არ გამორიცხავს სახელმწიფოს უფლებას დააწესოს დამატებითი მოთხოვნები ასეთი შემთხვევებისათვის, მაგალითად მოითხოვოს, რომ დოკუმენტის კანონიერება დამოწმებული იქნეს სპეციალური თანდართული საბუთით ოფიციალურ ენაზე. პუნქტი 2.ბ ითვალისწინებს, რომ მოდავე მხარის მიერ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე წარმოდგენილი დოკმენტის შინაარსი უშუალოდ ან რაიმე ოფიციალური არხის მეშვეობით (შეტყობინება, სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური, ა.შ.) უნდა მათთვის გასაგები ფორმით გაეცნოს მეორე მხარეს ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებმაც არ იციან ეს ენა.

98. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულებების გამოყენება არ შეიძლება ზღუდავდეს იურიდიულ საკითხებში ურთიერთდახმარების თაობაზე დადებული ხელშეკრულებებისა და კონვენციების დებულებებს, რომლებშიც მკაფიოდაა განსაზღვრული თუ რომელი ენები გამოიყენება აღნიშნული სამართლებრი აქტებით მოცულ შემთხვევებში.

99. პუნქტი 3 ეხება სამართლებრივი აქტების რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე თარგმნას. ფრაზა "თუკი ეს დოკუმენტები სხვა საშუალებით უკვე არ არის მათთვის ხელმისაწვდომი" გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც ამა თუ იმ დოკუმენტის ტექსტი

უკვე არსებობს რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე, რამდანადაც იგი ითარგმნა მსგავს ან იმავე ენაზე, რომელიც ოფიციალური ენას წარმოადგენს მეორე სახელმწიფოში.

*მუხლი 10 – ადმინისტრაციული ორგანოები და სახელმწიფო სამსახურები*

100. ამ მუხლის მიზანია, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ თავიანთი უფლებებითა და შეასრულონ მათი მოქალაქეობრივი მოვალეობები ისეთ გარემოში, სადაც არსებობს სათანადო პატივისცემა მათი მშობლიური ენის მიმართ.

101. ამ მუხლის დებულებების მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ურთიერთობას ხელისუფლების წარმომადგენლებსა და რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა შორის. მართალია, საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური და კულტურული პროცესების გავლენით ამ ენებზე მოლაპარაკეთა უდიდესი უმრავლესობა ორენოვანია და შეუძლია სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთობა ოფიციალურ ენაზე, მიუხედავად ამისა ადმინისტრაციულ ურთიერთობებში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების უფლების აღიარება არსებითი მნიშვნელობისაა ამ ენების სტატუსისა და განვითარების, ისევე როგორც სუბიექტური თვალსაზრისით. უდავოა, რომ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას ამა თუ იმ ენის გამოყენების სრული გამორიცხვა ამ ენის უგულვებელყოფის ტოლფასია, რამდენადაც ენა თავისი არსით მთელი საზოგადოების კომუნიკაციის საშუალებაა და არ შეიძლება მისი დაყვანა მხოლოდ პირად ურთიერთობებზე.

102. მე-10 მუხლი განასხვავებს ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს სამ დონეზე:

- სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების (პუნქტი 1)
- მმართველობის ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების (პუნქტი 2)
- სახელმწიფო სამსახურები: ფოსტა, საავადმყოფოები, ელექტრომომარაგება, ტრანსპორტი და ა.შ. (პუნქტი 3)

103. თითოეულ სფეროში, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისა და უწყებების კომპეტენციის გათვალიწინებით, მხედველობაში მიიღება კონკრეტული ლინგვისტური სიტუაციიდან გამომდინარე მოთხოვნები. ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონალურ ან უმცირესობის ენას პრაქტიკულად "კვაზი-ოფიციალურ" ენის სტატუსი აქვს და ამდენად იგი ხელისუფლების სამუშაო ენას წარმოადგენს მოცემულ ტერიტორიაზე. (ამავე დროს, ოფიციალური, ან ყველაზე ფართოდ ხმარებული ენა გამოიყენება იმ პირებთან ურთიერთობისას, რომლებიც რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე არ ლაპარაკობენ). სხვა შემთხვევებში სახელმწიფო მოხელეების მიერ რეგიონალური ან უმცირესობის ენა შეიძლება გამოიყენებოდეს იმ პირებთან ურთიერთობისას მაინც, ვინც მათ ამ ენაზე მიმართავს. ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული ენობრივი სიტუაციიდან გამომდინარე ობიექტური მიზეზები არ იძლევა ამის განხორციელების საშუალებას, ქარტია განსაზღვრავს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს ამ ენებზე მოლაპარაკეთა ინტერესების გათვალისწინებას. კერძოდ, მათ უფლება უნდა ჰქონდეთ აღნიშნულ ორგანოებს მიმართონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე შედგენილი წერილობითი ან ზეპირი განცხადებებით, თუმცა ეს ორგანოები ვალდებული არ არიან მოამზადონ მათზე პასუხი ამავე ენაზე.

104. 1 და 3 პუნქტების დებულებების განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეები ვალებულებას იღებენ იმ ზომით, "რამდენადაც ეს ობიეტურად იქნება შესაძლებელი". ეს შენიშვნა არ უნდა იქნეს გაიგივებული მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-3 მუხლის 1-ლი

პუნქტის დებულებებთან, რომელთა თანახმადაც თითოეული რეგიონალური ან უმცირესობის ენის მიმართ მხარეს შეუძლია შეარჩიოს III ნაწილში მოცემული სხვადასხვა ვალდებულებები. თუმცა, იგი ითვალისწინებს, რომ ამ პუნქტებით განსაზღვრული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელებას მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები და მათი სათანადო პროფესიული მომზადება ესაჭიროება. რომელიმე ენის მიმართ ამა თუ იმ დებულებით განსაზღვრული ვალდებულების აღება გულისხმობს საჭირო რესურსების გამოყოფისა თუ სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოცემული დებულების სრული და უპირობო შესრულება არ არის, ან ჯერჯერობით არ არის შესაძლებელი. ფრაზა "იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად იქნება შესაძლებელი" საშუალებას აძლევს მხარეებს განსაზღვრონ ამგვარი შემთხვევები თითოეული კონკრეტული ენის მიმართ ამ დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შერულებისას.

105. მე-2 პუნქტის დებულებები, კერძოდ კი მხარეთა ვალდებულება "ნება დართონ და/ან წაახალისონ" შესაბამისი ზომების მიღება, მხედველობაში იღებს ადგილობრივი და რეგიონალური ავტონომიის პრინციპს და არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ამ პუნქტში მოცემული დებულებების გამოყენებას, რომლებიც მოქალაქეებთან ყველაზე უშუალო შეხებაში მყოფ მმართველობის ორგანოებს ეხება, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდეს. ქარტიაზე მუშაობისას, ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალური კომიტეტი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი დებულების შესრულება ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის ორგანოთა პრეროგატივაა და მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს მათი მხრიდან. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქარტიის გამოყენებისას დაცული იქნება ადგილობრივი ავტონომიის პრინციპი, რომელიც განსაზღვრულია ევროპულ ქარტიაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, კერძოდ კი ამ ქარტიის მე-9 მუხლის I-ლ პუნქტში, რომელშიც ნათქვამია, რომ "ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან ჰქონდეთ საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც ისინი თავისუფლად განკარგავენ მათი კომპეტენციის ფარგლებში".

106. პუნქტი 2.ა ითვალისწინებს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებას რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოების "საქმიანობის ფარგლებში", რაც გულისხმობს, რომ შესაძლებელია ამ ორგანოების მიერ რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენება სამუშაო ენად; თუმცა, აღნიშნული დებულება არ ითვალისწინებს, რომ რეგიონალური ან უმცირესობის ენა შეიძლება გამოყენებულ იქნას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისას.

*მუხლი 11 – მასმედია*

107. რეგიონალური ან უმცირესობის ენების დაცვისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რა დრო და ადგილი ეთმობათ მათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. დღევანდელ პირობებში ვერც ერთი ენა ვერ შეძლებს გავლენისა და მნიშვნელობის შენარჩუნებას, თუ იგი წარმოდგენილი არ არის თანამედროვე სამაუწყებლო თუ სხვა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში. მასმედიის მზარდი როლი და სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს ნაკლებ გავრცელებული ენების კულტურული გავლენის შესუსტებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მომხმარებელთა, განსაკუთრებით კი ტელემყურებელთა რაოდენობა, როგორც წესი, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, ხოლო რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი უკავიათ ამ ბაზარზე. მიუხედავად იმ ახალი შესაძლებლობებისა, რომელსაც სამაუწყებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება სთავაზობს ამ ენებს, ბაზარზე შეღწევის თვალსაზრისით მათ მაინც

აუცლებლად ესაჭიროებათ სახელმწიფოს მხარდაჭერა. თუმცა, ამ უკანასკნელის როლი მასმედიასთან მიმართებით გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული და მხოლოდ რეგულირების გზით გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისად ეფექტური. ხელისუფლება ამ სფეროში უმთავრესად წახალისებისა და დახმარების მეშვეობით მოქმედებს. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამგვარი წახალისება და ხელშეწყობა განხორციელდეს ასევე რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართაც, ქარტია მოუწოდებს მხარეებს მიიღონ შესაბამისი ზომები შესაბამის დონეებზე.

108. ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებები მიზნად ისახავს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირთა ინტერესების გათვალისწინებას ამ ენების გავრცელების გეოგრაფიულ არეალში. თუმცა, 1-ლი პუნქტის ფორმულირება ამ თვალსაზრისით, რომელიც განსხვავდება სხვა მუხლების ფორმულირებებისაგან, ითვალისწინებს აუდიო-ვიზუალური საინფორმაციო საშუალებების განსაკუთრებულ ხასიათს. ამდენად, მაშინაც კი, როდესაც გარკვეული ზომები მიიღება რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიასთან მიმართებით, მათი შედეგი შეიძლება მნიშვნელოვნად გასცდეს ამ ტერიტორიის საზღვრებს; მეორე მხრივ, აუცილებელი არ არის, რომ ყველა ზომა განხორციელდეს აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში, თუ ამ ზომებს სასურველი შედეგი მოაქვთ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის.

109. ცნობილია, რომ ხელისუფლების როლი და კომპეტენცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფოებში განსხვავებულია. ამის გათვალისწინებით, 1 და 3 პუნქტებში ნათქვამია, რომ აღნიშნულ პუნქტებთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებები განისაზღვრება ამ სფეროში ხელისუფლების ორგანოების კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებისა და როლის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ქარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველმა სახელმწიფომ ამ ქარტიით დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელი საკანონმდებლო ბაზისა და პირობების შექმნისას უნდა მკაცრად დაიცვას მასმედიის დამოუკიდებლობის პრინციპი.

110. მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ცალ-ცალკე განიხილავს რეგიონალური და უმცირესობათა ენების ხელშეწყობის ზომებს რადიოსა და ტელევიზიაში, იმისდა მიხედვით ასრულებს თუ არა ეს უკანასკნელი სახელმწიფო სამსახურის ფუნქციას. ამგვარი ფუნქცია, რომლსაც შეიძლება ასრულებდეს საზოგადოებრივი ან კერძო სამაუწყებლო კომპანია, გულისხმობს მაყურებლისათვის გადაცემათა ფართო სპექტრის, მათ შორის უმცირესობათა გემოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი პროგრამების, შეთავაზებას. ამ თვალსაზრისით სახელმწიფომ შეიძლება განსაზღვროს (მაგალითად, სათანადო კანონმდებლობაში ან სამაუწყებლო კომპანიებისათვის დადგენილ მოთხოვნებში), რომ პროგრამებში შეტანილ უნდა იქნეს გადაცემები რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე. ეს მოთხოვნა ჩამოყალიბებულია ა ქვე-პუნქტში. მეორე მხრივ, კერძო მაუწყებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ "წაახალისის და/ან ხელი შეუწყოს" (ბ და გ ქვე-პუნქტები). მხოლოდ ეს უკანასკნელი მიდგომა ვრცელდება ბეჭდვით საშუალებებთან დაკავშირებით (ე ქვე-პუნქტი). აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეთა ვალდებულებები მოიცავს ასევე აუცილებელი სიხშირეების გამოყოფას იმ სამაუწყებლო საშუალებებისათვის, რომლებიც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე გადიან ეთერში.

111. რამდენადაც შეზღუდული არ უნდა იყოს სახელმწიფოს როლი მასმედიის სფეროში, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება და მიიღოს აუცილებელ ზომები ამ თავისუფლების ნებისმიერი გაუმართლებელი შეზღუდვის აღსაკვეთად. აქედან გამომდინარე, 1-ლი პუნქტისაგან განსხვავებით, მე-2 პუნქტში არ არის შეტანილი სპეციალური პირობა ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი კომპეტენციის თაობაზე. მეზობელი ქვეყნებიდან ტელე და რადიოპროგრამების თავისუფალი

მიღების გარანტირება გულისხმობს არა მხოლოდ მათი მიღების განზრახ შეზღუდვის ფაქტებს, არამედ იმ შემთხვევებსაც, როდესაც შესაბამისმა უწყებებმა არ მიიღეს სათანადო ზომები ამ გადაცემების შეუფერხებელი მიღების უზრუნველსაყოფად.

112. იმის გამო, რომ მეზობელი სახელმწიფოდან მიღებულ გააცემებზე შეიძლება არ ვრცელდებოდეს იგივე პირობები, რაც უშუალოდ ამ სახლმწიფოს ტერიტორიაზე შექმნილ გადაცემებზე, ამ პუნქტის მე-3 წინადადება ითვალისწინებს გარანტიას, რომელიც ეხმიანება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ დებულებას აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც შეუერთდნენ ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენციას, ქარტის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ თავისუფლებათა შეზღუდვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ამ კონვენციით განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ კი იმ პრინციპის დაცვით, რომ დაუშვებელია მხარეთა ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოების გადაცემათა რეტრანსლაციის შეზღუდვა, თუ ეს გადაცემები შეესაბამება ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ კონვენციის მოთხოვნებს. ამ პუნქტის დებულებები გავლენას არ ახდენენ საავტორო უფლების დაცვის აუცილებლობაზე.

113. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგიონალური ან უმცირესობის ენებზე მოლაპარაკეთა ინტერესები წარმოდენილი უნდა იყოს მასმედიის პლურალიზმის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებში. ასეთი სტრუქტურები შექმნილია ევროპის მრავალ სახელმწიფოში. ფრაზა "ან გათვალისწინებულ იქნეს" შეტანილ იქნა ქარტიაში იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას იმის განსაზღვრისას, თუ ვინ წარმოადგენს ამ ენებზე მოლაპარაკეებს აღნიშნულ სტრუქტურებში. ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა საკმარისად მიიჩნია, რომ სხვადასხვა ლინგვისტური ჯგუფები წარმოდგენილ იქნენ იგივე საფუძველზე, რომელზეც წარმოდგენილია მოსახლეობის სხვა ჯგუფები. ეს შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, იმ ორგანოების მეშვეობით, რომელთა შექმნაც ქარტიის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტითაა გათვლისწინებული.

*მუხლი 12 – კულტურული საქმიანობა და კულტურის დაწესებულებები*

114. ამ სფეროშიც, ისევე როგორც მე-11 მუხლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულებას იღებენ სათანადო ზომები განახორციელონ სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების კომპეტენციის, უფლებამოსილებისა და კანონიერი როლის ფარგლებში. თუმცა, რამდენადაც ხელისუფლებას უდავოდ დიდი გავლენა აქვს იმ გარემოზე, რომელშიც წარიმართება კულტურული საქმიანობა, ქარტია მოითხოვს მხარეებისაგან იმის უზრუნველყოფას, რომ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს შესაბამისი ადგილი ეთმობოდეთ ამ სფეროში.

115. 1.ა პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით მოეთხოვებათ წაახალისონ სხვადასხვა კულტურული ინიციატივები და თვითგამოხატვის ფორმები. ეს ჩვეულებრივ იგივე ზომების მიღებას მოითხოვს, რაც საზოგადოდ კულტურის ხელშეწობის თვალსაზრისით არის აუცილებელი. ფრაზა "სხვადასხვა საქმიანობა, რომელიც უფრო ხელმისაწვდომს გახდის ამ ენებზე შექმნილ ნაწარმოებებს", კულტურული საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, გულისხმობს გამოქვეყნებას, პრეზენტაციას, გავრცელებას, ტრანსლიაციას და სხვა საშუალებებს.

116. რამდენადაც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობა საუბრობს, შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს ენები ნაკლებ პროდუქტიულია, ვიდერე უფრო ფართოდ გავრცელებული ენები. მათი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით

და იმისათვის, რომ ამ ენებზე მოლაპარაკეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ეზიარონ მსოფლიოს კულტურულ მონაპოვარს, აუცილებელია მრავალმხრივი მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარება (პუნქტი 1.გ). თუმცა, კულტურული ბარიერების დაძლევა ორმხრივი პროცესია და ამდენად, რეგიონალურ და უმცირესობათა ენების სიცოცხლისუნარიანობისა და აღიარებისათვის, აუცილებელია, რომ ან ენებზე შექმნილი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი გახდეს უფრო ფართო საზოგადოებისათვის. ამ მიზანს ემსახურება პუნქტი 1.ბ.

117. რაც შეეხება იმ ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებათა ჩატარებასა და მხარდაჭერაზე, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ ამ ორგანიზაციებმა თავიანთ პროგრამებში სათანადო ადგილი დაუთმონ რეგიონალური და უმცირესობათა ენებისა და კულტურის ცოდნასა და გამოყენებას (მუხლი 12, პუნქტი 1. დ-ვ). ქარტია არ განსაზღვრავს თუ კონკრეტულად როგორ უნდა განხორციელდეს ეს, იგი მხოლოდ მიუთითებს, რომ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს "სათანადო ადგილი უნდა დაეთმოთ" ამ ორგანოების საქმიანობაში. სახელმწიფოს როლი ამ სფეროში, როგორც წესი, ზოგადი ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით შემოიფარგლება. ამდენად მას ევალება არა განხორციელება, არამედ ამ მიზნის განსაზღვრა და იმის "უზრუნველყოფა", რომ მიიღება ზომები მის განსახორციელებლად.

118. ქარტია ასევე ითვალისწინებს თითოეული რეგიონალური ან უმცირესობათა ენისათვის ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ენაზე შექმნილი ნაწარმობების შეკრებაზე, ასლის შენახვასა და გავრცელებაზე (მუხლი 12, პუნქტი1.ზ). მრავალი რეგიონალურ და უმცირესობათა ენის მყიფე მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია ასეთი სამუშაოების წარმოება სისტემატიურ საფუძველზე იმ ფორმით, როგორც ამას თავად სახელმწიფო განსაზღვრავს. ზ პუნქტის განხორციელების მიზნით, ზოგიერთ სახელმწიფოში შეიძლება აუცილებელი გახდეს სათანადო ცვლილებების შეტანა სამართლებრივი აქტებისა დეპონირებისა და არქივების შესახებ კანონმდებლობაში, რათა აღიშნულმა ორგანომ შეძლოს თავისი ფუნქციის შესრულება რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაწარმოებების დაცვის თვალსაზრისით.

119. მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი გამოიყენება რეგიონალურ და უმცირესობათა ენების გავრცელების ტერიტორიაზე, თუმცა უეჭველია, რომ მასში მოცემული დებულებების პრაქტიკული მნიშვნელობა სცილდება ამ ტერიტორიის ფარგლებს. მიუხედავად ამისა, კულტურის პოპულარიზაციის მიზნით და ამ ენების ტრადიციული გავრცელების ტერიტორიის გარეთ არსებული (კერძოდ კი ქვეყნის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგად გაჩენილი) მოთხოვნილებების გათვალისწინებით, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია დებულებები, რომლებიც მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებებს შეესაბამება.

120. ყველა ქვეყნის სურვილია ხელი შეუწყოს ეროვნული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. ამ პროცესში არ უნდა მოხდეს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებისა და კულტურის უგულვებელყოფა. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, ერთ-ერთი საშუალებაა რეგიონალურ და უმცირესობათა ენების აღიარების პრინციპის (II ნაწილის მუხლი 7, პუნქტი 1.ა) ცხოვრებაში გასატარებლად.

*მუხლი 13 – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება*

121. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოთა როლი და კომპეტენცია ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სფეროში კანონებისა და ნორმატიული აქტების შექმნითა და პრომულგირებით შემოიფარგლება. შესაბამისად, შეზღუდულია სახელმწიფოს ხელთ არსებული საშუალებები ამ სფეროში რეგიონალურ და

უმცირესობათა ენებისათვის სათანადო ადგილის მიკუთვნების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ქარტია ითვალისწინებს რიგი კონკრეტული ღონისძიებების გატარებას ამ მიმართულებით. ერთი მხრივ, იგი მიზნად ისახავს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ამ ენების გამოყენების ამკრძალავი ან ხელისშემშლელი ნებისმიერი დებულების გაუქმებას და მეორე მხრივ იგი სთავაზობს მხარეებს სხვადასხვა ქმედითი ზომების გატარებას.

122. მე-13 მუხლის 1 პუნქტში მოცემული დებულებები ეხება დისკიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებებს. ამდენად, ამ დებულებათა მოთხოვნები ვრცელდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და არა მხოლოდ მის იმ ნაწილებში, სადაც გამოიყენება რეგიონალური და უმცირესობათა ენები.

123. ქარტის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში რეგიონალურ და უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული სხვადასხვა კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი. პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ქარტია მოითხოვს მათ განხორციელებას იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ეს ენები გამოიყენება. რაც შეეხება შენიშვნას "რამდენადაც ეს ობიექტურად არის შესაძლებელი", აქ მითითება უნდა გაკეთდეს მე-10 მუხლთან დაკავშირებით მოცემულ განმარტებაზე (იხ. პარაგრაფი 104). და ბოლოს, მხარეები ვალდებულებას კისრულობენ განახორციელონ აღნიშნული ზომები ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში.

*მუხლი 14 – ტრანსსასაზღვრო გაცვლები*

124. ეს მუხლი განავრცობს მე-7 მუხლის 1.ი პუნქტში მოცემულ დებულებას და ამდენად მითითება უნდა გაკეთდეს ზემოთ მოყვანილ განმარტებებზე (იხ. პარაგრაფები 69-70).

125. მრავალ სფეროში ვითარდება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოების მეზობელ რეგიონებს შორის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი კონტაქტები შესაძლოა ჯერ კიდევ განიხილებოდეს საფრთხედ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ევროპის სახელმწიფოთა შორის მზარდი ინტეგრაციის პირობებში კი, ამგვარი თანამრომლობა პირიქით უქმნის მათ შესაძლებლობას გამოიყენონ "კულტურული ფაქტორი" მეტი ურთიერთგაგების მისაღწევად. ევროპის საბჭოს შემუსავებული აქვს ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ კონვენციის წინასწარი პროექტი. მისასალმებელია ამგვარი თანამშრომლობის განვითარება ყველა მიმართულებით, თუმცა ბ პუნქტი კონკრეტულად ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ერთი და იგივე ენა გამოიყენება საზღვრის ორივე მხარეს.

126. ამგვარმა თანამშრომლობამ შეიძლება მოიცვას ისეთი ერთობლივი პროგრამები, როგორიცაა დაძმობილებული სკოლები, მასწავლებელთა ურთიერთგაცვლები, დიპლომისა და აკადემიური ხარისხის ურთიერთცნობა, კულტურულ ღონისძიებათა მოწყობა, წიგნების, ფილმებისა და ა.შ. გავრცელების ხელშეწყობა, გამოფენების მოწყობა და სხვა ტრანსსასაზღვრო ღონისძებები კულტურის სფეროში მოღვაწე პირებისა და ორგანიზაციების (თეატრალური დასი, ლექტორები და სხვა) მონაწილეობით. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი ღონისძიებები შეიძლება ასევე იყოს სახელმწიფოს მიერ ქარტიის სხვა მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის საკმარისი (და ნაკლებ ძვირადირებული) საშუალება. მაგალითად, მე-8 მუხლის 1.ე პუნქტის შემთხვევაში, რომელიც უმაღლესი განათლების სფეროს ეხება, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს სტუდენტების გაგზავნა მეზობელი სახელმწიფოს უმაღლეს სასწავლებლებში.

## ნაწილი IV – ქარტიის გამოყენება

*მუხლები 15-17*

127. იმისათვის, რომ ევროპის საბჭოს, მის წევრ სახელმწიფოებსა და ფართო საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდეთ თვალი ადევნონ მხარეთა მიერ ნაკისრი ველდებულებების განხორციელებას, ქარტია მოითხოვს მხარეებისაგან პერიოდული მოხსენებების წარდგენას ქარტიის დებულებათა შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შესახებ. მოხსენებების წარდგნა მოხდება სამწლიანი ინტერვალებით, თუმცა პირველი მოხსენება, რომლის მიზანიცაა ქვეყანაში რეგიონალურ და უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობს აღწერა ამ ქვეყნის მიმართ ქარტიის ძალაში შესვლის მომენტისათვის, წარდგენილ უნდა იქნეს ქარტიის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში.

128. იმისათვის, რომ მონიტორინგის აღნიშნული სისტემა ეფექტურად მუშაობდეს, ქარტია ითვალისწინებს ექსპერტთა კომიტეტის შექმნას, რომელიც განიხილავს მხარეების მიერ წარდგენილ მოხსენებებს. კომიტეტს შეიძლება მიმართოს ასევე იმ ორგანიზაციებმა და ასოციაციებმა, რომელთაც სურთ კომიტეტს მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ან ცნობები რაიმე კონკრეტული საკითხის შესახებ, რომელიც ქარტიის დებულებების, განსაკუთრებით კი მისი III ნაწილის (მუხლი 16, პუნქტი 2) გამოყენებას ეხება. ექსპერტთა კომიტეტი ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დაკავშირებით ამგვარ ინფორმაციას მიიღებს მხოლოდ ამ სახელმწიფოში კანონიერ საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციებისაგან. ასეთი პირობის მიზანია არ მისცეს საშუალება ჯგუფებს, რომელთა ხელმძღვანელი ორგანოები არ იმყოფება მოცემული სახლმწიფოს ტერიტორიაზე, გამოიყენონ ქარტიით გათვალისწინებული მონიტორინგის სისტემა ქარტიის მონაწილე მხარეებს შორის უთანხმოების პროვოცირების მიზნით.

129. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ აღნიშნული სისტემა არ წარმოადგენს საჩივრების განხილვის კვაზი-სასამართლო პროცედურას. ექსპერტთა კომიტეტს ევალება მხოლოდ თვალი ადევნოს ქარტიის მოთხოვნათა განხორციელებას და მიიღოს ამისათვის საჭირო ინფორმაცია. მე-16 მუხლში მითითებულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ მოსთხოვონ მას ამა თუ იმ ფორმით შეასრულოს სააპელაციო ორგანოს ფუნქცია.

130. ექსპერტთა კომიტეტს შეუძლია გადაამოწმოს მხარეთა მიერ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია და ამ მიზნით მიმართოს მათ დამატებითი ახსნა-განმარტების ან ინფორმაციის მოთხოვნით. კომიტეტის დასკვნები, შესაბამისი მხარეების მიერ მიწოდებულ კომენტარებთან ერთად გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს ექსპერტთა მოხსენებების წარდგინებისას. თუმცა ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ საჯაროობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ეს მოხსენებები ავტომატურად უნდა ქვეყნდებოდეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მოხსენებები შეიძლება შეიცავდეს იმ წინადადებებს, რომლითაც ექსპერტთა კომიტეტი მიმართავს მინისტრთა კომიტეტს ამ უკანასკნელის მიერ ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიმართ აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მინისტრთა კომიტეტმა თავად განსაზღვროს მოხდება თუ არა მოხსენების სრულად გამოქვეყნება.

131. ექსპერტთა კომიტეტი შედგება თითო მხარის თითო წარმომადგენლისაგან. კომიტეტის წევრებად დაინიშნებიან რეგიონალურ და უმცირესობათა ენების საკითხებში აღიარებული ექსპერტები. ამასთან ერთად, ისეთი პიროვნული თვისების ხაზგასმით, როგორიცაა მაღალი ზნეობა და რეპუტაცია, ქარტია ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ თავიანთი მოვალეობის შესრულებისას კომიტეტის წევრები დამოუკიდებლად უნდა

მოქმედებდნენ და არ ექცეოდნენ შესაბამისი ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან მიღებული მითითებების გავლენის ქვეშ.

132. ექსპერტთა კომიტეტის მიერ ქარტიის მოხოვნათა შესრულებაზე მონიტორინგის ამგვარი მექანიზმი შესაძლებელს გახდის ობიქტური ინფორმაციის შეგროვებას რეგიონალურ და უმცირესობათა ენების მდგომარეობასთან დაკავშირებით, და ამასთან უზრუნველყოფს სახელმწიფოთა მიერ ინდივიდუალურად ნაკისრი ვალდებულებების სრულ პატივისცემას.

## ნაწილი V – დასკვნითი დებულებები

133. ქარტიის 18-23 მუხლებში მოცემული დასკვნითი დებულებები ეყრდნობა ევროპის საბჭოს ფარგლებში ხელმოწერილი კონვენციებისა და შეთანხმებების ტიპიურ დასკვნით დებულებებს.

134. დასკვნით დებულებებში არ იქნა შეტანილი ცალკე მუხლი ქარტიის გავრცელების ტერიტორიასთან დაკავშირებით. ასეთი გადაწყვეტილება იმითაა განპირობებული, რომ თავისთავად ქარტიის მოთხოვნები ვრცელდება განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კერძოდ კი იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც გამოიყენება რეგიონალურ და უმცირესობათა ენები. გარდა ამისა, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მხარეებს აქვთ უფლება თავად გაანსაზღვრონ ის რეგიონალურ და უმცირესობათა ენები, რომელთა მიმართაც ისინი იკისრებენ კონკრეტულ ვალდებულებებს.

135. 21-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ დათქმა მხოლოდ ქარტიის მე-7 მუხლის 2-5 პარაგრაფების მიმართ. ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა ჩათვალა, რომ მხარეებს არ უნდა მიეცეთ ამგვარი უფლება მე-7 მუხლის 1 პუნქტთან დაკავშირებით, რამდანადაც ეს პუნქტი ქარტიის მიზნებსა და პრინციპებს აყალიბებს. რაც შეეხება III ნაწილს, კომიტეტმა მიიჩნია, რომ რამდენადაც მხარეები ისედაც სარგებლობენ ფართო არჩევანის საშუალებით ქარტიით განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, დამატებითი დათქმის შეტანა მათი მხრიდან არ იქნებოდა მართებული.

136. იმის გათვალისწინებით, რომ ქარტიით მოცული საკითხები აქტუალურია ბევრი იმ სახელმწიფოსათვის, რომლებიც არ არიან, ან ჯერ არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, გადაწყდა, რომ კონვენცია იყოს გახსნილი და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ჰქონდეს უფლება შესათავაზოს მათ ამ ქარტიასტან შემოერთება.

ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ

**სტრასბურგი, 5.XI.1992**

## პრეამბულა

ამ ქარტიის მონაწილე ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მტკიცე ერთიანობის მიღწევა, კერძოდ, იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რომლებიც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენენ;

ითვალისწინებენ, რომ ევროპაში ისტორიულად გავრცელებული რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვა, რომელთაგან ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული მონაპოვარისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას;

ითვალისწინებენ, რომ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება წარმოადგენს ხელშეუვალ უფლებას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული პრინციპების, აგრეთვე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის სულისკვეთების შესაბამისად;

მხედველობაში იღებენ ეუთოს ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოს, კერძოდ კი 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტსა და 1990 წლის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტს;

ხაზს უსვამენ კულტურათა ურთიერპატივისცემისა და მრავალენობრიობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ითვალისწინებენ, რომ რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვა და წახალისება არ უნდა ხორციელდებოდეს ოფიციალური ენებისა და მათი შესწავლის აუცილებლობის საზიანოდ;

აცნობიერებენ, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვასა და განვითარებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია კულტურული მრავალფეროვნების პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობაში, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტეროტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე;

მხედველობაში იღებენ ევროპის სახელმწიფოთა სხვადასხვა რეგიონების ისტორიულ ტრადიციებს და განსაკუთრებულ თავისებურებებს

და შეთანხმდნენ შემდეგზე:

## ნაწილი I - ზოგადი დებულებები

### მუხლი 1 - განსაზღვრებები

ამ ქარტიის თანახმად:

ა. "რეგიონალური და უმცირესობათა ენები" გულისხმობს ენებს, რომლებიც:

i. ტრადიციულად გამოიყენება სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც ქმნიან უფრო მცირერიცხოვან ჯგუფს, ვიდრე მოცემული სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობაა; და

ii. განსხვავდებიან სახელმწიფოს ოფიციალური ენის ან ენებისაგან;

იგი არ მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) დიალექტებსა და მიგრანტების ენებს;

ბ. "ტერიტორია, რომელზეც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენა" აღნიშნავს იმ გეოგრაფიულ არეალს, სადაც აღნიშნული ენა იხმარება ურთიერთობის საშუალებად იმ რაოდენობის ადამიანთა მიერ, რომ გამართლებული იყოს ამ ქარტიის გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება მოცემული ენის მიმართ;

გ. "ტერიტორიის არმქონე ენები" აღნიშნავს სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ ხმარებულ ენებს, რომლებიც განსხვავდებიან სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობის ენის ან ენებისაგან, მაგრამ რომლებიც, თუმცა ტრადიციულად გამოიყენებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვერ გაიგივდებიან მის რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონთან.

**მუხლი 2 - ვალდებულებანი**

1. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს გამოიყენოს II ნაწილის დებულებები მის ტერიტორიაზე არსებული ყველა რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების მიმართ, რომლებიც შეესაბამება 1-ლ მუხლში მოცემულ განსაზღვრებას.

2. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს ქარტიის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცებისას მე-3 მუხლის თანახმად განსაზღვრული ყოველი ენის მიმართ გამოიყენოს ქარტიის III ნაწილის არანაკლებ ოცდათხუთმეტი პუნქტი ან ქვე-პუნქტი, მათ შორის არანაკლებ სამ-სამი პუნქტი ან ქვე-პუნქტი მე-8 და მე-12 მუხლებიდან და მე-9, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების თითო პუნქტი ან ქვე-პუნქტი მაინც.

**მუხლი 3 - გამოყენების წესი**

1. თითოეული მხარე რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელში მიუთითებს ყველა იმ რეგიონალურ და უმცირესობის ენას, აგრეთვე მის მთელ ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ნაკლებად გავრცელებულ ოფიციალურ ენას, რომელთა მიმართაც მოხდება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული დებულებების გამოყენება.

2. ყოველ მონაწილე მხარეს შემდგომში ნებისმიერ დროს შეუძლია აცნობოს გენერალურ მდივანს, რომ იგი იღებს ქარტიის ნებისმიერი სხვა პუნქტის დებულებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, რომლებიც მითითებული არ არის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელში, ან რომ იგი გამოიყენებს ამ მუხლის 1-ლ პუნქტს სხვა რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების ან მის ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიის ნაწილზე ნაკლებად გავრცელებული სხვა ოფიციალური ენების მინართ.

3. წინა პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები განიხილება რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შემადგენელ ნაწილად და იგივე იურიდიული ძალა აქვს ნოტიფიკაციის მომენტიდან.

**მუხლი 4 - დაცვის არსებული მექანიზმები**

1. ამ ქარტიით გათვალისწინებული არც ერთი დებულება არ შეიძლება განმარტებულ იქნეს ისე, რომ შეიზღუდოს ან შეილახოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი რომელიმე უფლება.

2. ამ ქარტიის დებულებები გავლენას არ ახდენენ სახელმწიფოში არსებულ, ან შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით უზრუნველყოფილ უფრო ხელსაყრელ დებულებებზე, რომლებიც რეგიონალური და უმცირესობათა ენების ან უმცირესობათა წარმომადგენლებების სამართლებრივ სტატუს არეგულირებენ.

**მუხლი 5 - არსებული ვალდებულებანი**

ამ ქარტიის არც ერთი დებულება არ გულისხმობს იმგვარი ქმედებების განხორციელების ან ისეთი საქმიანობის უფლებას, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანერბული ერების წესდების მიზნებსა თუ საერთაშორისო სამართლით დადგენილ სხვა ვალდებულებებს, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების ჩათვლით.

**მუხლი 6 - ინფორმაცია**

მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ, რომ შესაბამისი ორგანოები, ორგანიზაციები და პირები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული ამ ქარტიით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

## ნაწილი II - მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მიზნები და პრინციპები

**მუხლი 7 - მიზნები და პრინციპები**

1. მხარეები თავიანთ პოლიტიკას, კანონმდებლობასა და პრაქტიკულ საქმიანობას რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ეს ენები გამოიყენება და თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, ააგებენ შემდეგ მიზნებსა და პრინციპებზე დაყრდნობით:

ა. რეგიონალური და უმცირესობათა ენების, როგორც კულტურული მონაპოვარის აღიარება;

ბ. თითოეული რეგიონალური თუ უმცირესობის ენის გავრცელების არეალის პატიეისცემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ არსებული ან შესაძლო ახალი ადმინისტრაციული დაყოფა დაბრკოლებას არ უქმნიდეს მოცემული რეგიონალური ან უმცირესობის ენის განვითარებას;

გ. რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით ქმედითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა;

დ. ზეპირი და წერილობითი ფორმით რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშეწყობა და/ან წახალისება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში;

ე. ქარტიით მოცულ სფეროებში რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებსა და ამავე სახელმწიფოში მცხოვრებ იმავე ამ მსგავს ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის კონტაქტების შენარჩუნება და განვითარება, აგრეთვე კულტურული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ჯგუფებთან, რომლებიც განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ;

ვ. განათლების სისტემის ყველა შესაბამის საფეხურზე რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლებისა და შესწავლის სათანადო ფორმებისა და საშუალებების უზრუნველყოფა;

ზ. სხვა ენაზე მოლაპარაკე პირებისათვის რეგიონალური და უმცირესობის ენის შესასწავლად პირობების შექმნა, თუ ისინი ცხოვრებენ იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ენა გამოიყენება და აქვთ მისი შესწავლის სურვილი;

თ. უნივერსიტეტებსა ან სამეცნიერო და უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებში რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესწავლისა და ამ ენების ენათმეცნიერული კვლევის ხელშეწყობა;

ი. ამ ქარტიის მოცულ სფეროებში სახელმწიფოთაშორისი გაცვლების სათანადო ფორმების განვითარება და ხელშეწყობა იმ რეგიონალური და უმცირესობათა ენების ხაზით, რომლების იდენტური ან მსგავსი ფორმით გამოიყენებიან ორ ან მეტ სახელმწიფოში.

2. რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებასთან დაკავშირებით მხარეები ვალდებულებას იღებენ აღკვეთონ, თუ მათ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, ნებისმიერი გაუმართლებელი გამორჩევა, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომელიც მიზნად ისახავს არახელსაყრელი გარემო შეუქმნას ან ეჭვის ქვეშ დააყენოს ამ ენების დაცვა და განვითარება. რეგიონალური და უმცირესობათა ენების სასარგებლოდ საგანგებო ზომების მიღება ამ ენების არსებობისა და ფუნქციონირების განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით ან ამ ენებზე მოლაპარაკეთა და დანარჩენ მოსახლეობას შორის მეტი თანასწორობის მისაღწევად არ ჩაითვლება დისკრიმინაციულ ქმედებად უფრო გავრცელებულ ენებზე მოლაპარაკეთა მიმართ.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ სათანადო ღონისძიებების მეშვეობით ხელი შეუწყონ მეტ ურთიერთგაგებას ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ლინგვისტურ ჯგუფს შორის და კერძოდ განათლებისა და პროფესიული მომზადების ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრონ რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ პატივისცემის, გაგებისა და ტოლერანტული გამოყენების ჩამოყალიბება და ამავე მიზნების დასახვისკენ მოუწოდონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

4. რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას, მხარეები მხედველობაში მიიღებენ ამ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების მოთხოვნილებებსა და სურვილებს. ქარტია მიესალმება მხარეების მიერ აუცილებლობის შემთხვევაში ისეთი ორგანოების შექმნას, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ ხელისუფლების წარმომადგენლებს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებთან დაკავშირებული ყველა საკითხის თაობაზე.

**5. მხარეები ვალდებულებას იღებენ გამოიყენონ ამ მუხლის 1-4 პუნქტებში ჩამოყალიბებული პრინციპები mutatis mutandis (სათანადო ცვლილებების შეტანით) ტერიტორიის არმქონე ენების მიმართ. ამასთან ამ ენებთან დაკავშირებით**

მისაღები ზომების ხასიათი და მასშტაბი განისაზღვრება მოქნილი წესით, აღნიშნულ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების ტრადიციებისა და თავისებურებების პატივისცემითა და მათი მოთხოვნილებებისა და სურვილების გათვალისწინებით.

## ნაწილი III - მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით მიღებული ზომები

### მუხლი 8 - განათლება

1. განათლების სფეროში მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც ეს ენები გამოიყენება და თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, ისე რომ უარყოფითი გავლენა არ იქონიოს სახელმწიფო ენის (ენების) სწავლებაზე:

ა.

i. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლება შესაბამის რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაბამის რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე; ან

iii. განახორციელონ ზემო i და ii ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება; ან

iv. თუ სკოლამდელი განათლების სისტემა არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უშუალო კომპეტენციის სფეროში, მათ უნდა ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ ზემო i-iii ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომების მიღება.

ბ.

i. ხელმისაწვდომი გახადონ დაწყებითი განათლება შესაბამის რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. ხელმისაწვდომი გახადონ დაწყებითი განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

iii. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლების შეტანა დაწყებითი განათლების სასწავლო პროგრამაში; ან

iv. გამოიყენონ i-iii ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ზომა იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

გ.

i. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

iii. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლების შეტანა საშუალო სკოლის პროგრამაში; ან

iv. გამოიყენონ i-iii ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ზომა იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან ზოგიერთ შემთხვევაში, რომელთა ოჯახებიც ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

დ.

i. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

iii. ტექნიკური და პროფესიული განათლების სფეროში უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლების შეტანა სასწავლო პროგრამაში; ან

iv. გამოიყენონ ზემო i-iii ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ზომა იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან ზოგიერთ შემთხვევაში, რომელთა ოჯახებიც ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

ე.

i. ხელმისაწვდომი გახადონ საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. უზრუნველყონ ამ ენების შესწავლა უნივერსიტეტის ან უმაღლესი განათლების ერთ-ერთი დისციპლინის ფორმით; ან

iii. თუ სახელმწიფოს კომპეტენცია უმაღლესი განათლების დაწესებულებების მიმართ არ იძლევა i და ii ქვე-პუნქტების განხორციელების საშუალებას, მან უნდა ნება დართოს და/ან წაახალისოს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ან ამ ენების სწავლების შეტანა საუნივერსიტეტო ან უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაში.

ვ.

i. მიიღონ ზომები მოზრდილთათვის განათლებისა და უწყვეტი განათლების კურსების ორგანიზებისათვის, სადაც სწავლება ძირითადად ან მთლიანად განხორციელდება რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. უზრუნველყონ, რომ ეს ენები ერთ-ერთ დისციპლინის სახით ისწავლებოდეს მოზრდილთათვის განათლებისა და უწყვეტი განათლების ფარგლებში; ან

iii. თუ მოზრდილთა განათლების სფერო არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უშუალო კომპეტენციაში, მათ უნდა ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ, რომ ეს ენები ისწავლებოდეს ერთ-ერთი დისციპლინის სახით მოზრდილთა განათლებისა და უწყვეტი განათლების ფარგლებში.

ზ. მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს რეგიონალური ან უმცირესობის ენა.

თ. უზრუნველყონ მასწავლებელთა საბაზისო და შემდგომი პროფესიული მომზადება, რომელიც აუცილებელია ა-დან ზ-მდე იმ პუნქტების განსახორციელებლად, რომლებზეც თანხმობა განაცხადა მხარემ.

ი. შექმნან ერთი ან რამდენიმე საზედამხედველო ორგანო, რომლებიც კონტროლს გაუწევენ რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლების შემოღებისა და განვითარების თვალსაზრისით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და შეაფასებენ მიღებულ შედეგებს, აგრეთვე წარმოადგენენ პერიოდულ ანგარიშებს, რომლებიც შემდგომში საჯაროდ გამოქვეყნდება.

2. იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სადაც რეგიონალური და უმცირესობათა ენები ტრადიციულად არ არის გავრცელებული, მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ, წაახალისონ ან უზრუნველყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე ან ამ ენის სწავლება განათლების ყველა შესაბამის საფეხურზე, თუ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს.

**მუხლი 9 - მართლმსაჯულების ორგანოები**

1. მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ სასამართლოებში, რომლებიც ფუნქციონირებენ იმ ტერიტორიებზე, სადაც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, თითოეული ამ ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად და იმ პირობით, თუ მოსამართლე არ მიიჩნევს, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული ზომები აბრკოლებენ მართლმსაჯულების განხორციელებას:

ა. სისხლის სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ ერთ-ერთი მხარის თხოვნით სასამართლოში საქმის განხილვა წარიმართოს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. უზრუნველყონ რომ ბრალდებული სარგებლობდეს მისი მშობლიური რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენების უფლებით; და/ან

iii. არ დაუშვან, რომ წერილობითი თუ ზეპირი ფორმით შემოსული განცხადებები და მტკიცებულებები განსახილველად არ იქნეს მიღებული მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი გადმოცემულია რეგიონალური და უმცირესობის ენაზე; და/ან

iv. თხოვნის საფუძველზე უზრუნველყონ სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული მასალების შედგენა რეგიონალური და უმცირესობის ენაზე,

აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა მომსახურებით, დაინტერესებული პირებისათვის დამატებითი ხარჯების დაკისრების გარეშე.

ბ. სამოქალაქო სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ ერთ-ერთი მხარის თხოვნით სასამართლოში საქმის განხილვა წარიმართოს რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. იმ შემთხვევაში, თუ დავის მონაწილე მხარე პირადად უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, მას უნდა ჰქონდეს უფლება მისთვის დამატებითი ხარჯების გარეშე მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტება მის მშობლიურ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე; და/ან

iii. დაუშვან დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე,

აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა მომსახურებით.

გ. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ ერთ-ერთი მხარის თხოვნით სასამართლოში საქმის განხილვა წარიმართოს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. იმ შემთხვევაში, თუ დავის მონაწილე მხარე პირადად უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, მას უნდა ჰქონდეს უფლება მისთვის დამატებითი ხარჯების გარეშე მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტება მის მშობლიურ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე; და/ან

iii. დაუშვან დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე,

აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა მომსახურებით.

დ. მიიღონ ზომები, რათა ზემო ბ და გ პუნქტების i-iii ქვე-პუნქტების გამოყენება და თარჯიმანთა ან მთარგმნელთა ნებისმიერი აუცილებელი მომსახურება არ მოითხოვდეს აღნიშნული პირების მიერ დამატებითი ხარჯების გაწევას.

2. მხარეები ვალდებულებას იღებენ:

ა. არ იქნეს ბათილად მიჩნეული სახელმწიფოში მომზადებული იურიდიული დოკუმენტები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი რეგიონალური ან უმცირესობის ენაზეა შედგენილი; ან

ბ. მხარეებს შორის ბათილად არ იქნეს მიჩნეული სახელმწიფოში მომზადებული იურიდიული დოკუმენტები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი შედგენილია რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე და შესაძლებელი იყოს ამ დოკუმენტების გამოყენება დაინტერესებულ მესამე მხარეთა მიმართ, რომლებმაც არ იციან ეს ენები, იმ პირობით, თუ მათ აღნიშნული დოკუმენტის შინაარსს გააცნობს (გააცნობენ) ის პირი (პირები), ვინც მოიხმობს ამ დოკუმენტს; ან

გ. მხარეებს შორის არ იქნეს ბათილად მიჩნეული სახელმწიფოში მომზადებული იურიდიული დოკუმენტები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი შედგენილია რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე ხელმისაწვდომი გახადონ სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე ის დოკუმენტები, რომლებიც საგანგებოდ შეეხება ამ ენებზე მოლაპარაკეებს, თუკი ეს დოკუმენტები სხვა საშუალებით უკვე არ არის მათთვის ხელმისაწვდომი.

## მუხლი 10 - ადმინისტრაციული ორგანოები და სახელმწიფო სამსახურები

1. სახელმწიფოს იმ ადმინისტრაციულ ოლქებში, სადაც რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რამდენადაც ეს ობიექტურად შესაძლებელი იქნება:

ა.

i. უზრუნველყონ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავიანთ საქმიანობაში გამოიყენონ რეგიონალური და უმცირესობათა ენები; ან

ii. უზრუნველყონ, რომ ამ ორგანოთა მოხელეებმა, რომლებსაც უშუალო შეხება აქვს საზოგადოებასთან, გამოიყენონ რეგიონალური და უმცირესობათა ენები იმ პირებთან ურთიერთობებში, რომლებიც მიმართავენ მათ ამ ენებზე; ან

iii. უზრუნველყონ, რომ რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირებს შეეძლოთ ადმინისტრაციულ ორგანოებს მიმართონ წერილობითი ან ზეპირი განცხადებებით და მიიღონ მათზე პასუხი ამ ენებზე; ან

iv. უზრუნველყონ, რომ რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირებს შეეძლოთ ადმინისტრაციულ ორგანოებს მიმართონ წერილობითი ან ზეპირი განცხადებებით ამ ენებზე; ან

v. უზრუნველყონ, რომ რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირებს შეეძლოთ ამ ენებზე შედგენილი დოკუმენტის წარდგენა დადგენილი წესით;

ბ. გამოსცენ ფართოდ ხმარებული ადმინისტრაციული აქტები და ანკეტები რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე ან მათი ორენოვანი ვერსიები;

გ. ნება დართონ ადმინისტრაციულ ორგანოებს შეადგინონ დოკუმენტები რეგიონალური და უმცირესობის ენაზე.

2. მმართველობის იმ ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებთან დაკავშირებით, რომლებიც შექმნილია იმ ტერიტორიებზე, სადაც რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა ამართლებს ქვემოთ გათვალისწინებული ზომების მიღებას, მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ და/ან წაახალისონ:

ა. რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება მმართველობის რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში;

ბ. რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირების მიერ ზეპირი ან წერილობითი განცხადებების წარმოდგენა ამ ენებზე;

გ. მმართველობის რეგიონალური ორგანოების მიერ ოფიციალური დოკუმენტების გამოყენება შესაბამის რეგიონალური და უმცირესობათა ენებზეც;

დ. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნება შესაბამის რეგიონალური და უმცირესობათა ენებზეც;

ე. რეგიონალურ დონეზე წარმომადგენლობით ორგანოებში გამართული დისკუსიებისა და განხილვების პროცესში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება, ისე რომ არ გამოირიცხოს სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) ხმარება;

ვ. ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობით ორგანოებში გამართული დისკუსიებისა და განხილვების პროცესში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება, ისე რომ არ გამოირიცხოს სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) ხმარება;

ზ. რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე ტოპონიმების ტრადიციული და სწორი ფორმების გამოყენება და დამკვიდრება, თუ აუცილებელია ოფიციალურ ენაზე (ენებზე) არსებული სახელწოდებების პარალელურად.

3. ადმინისტრაციული ორგანოების ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ სახელმწიფო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეები ვალდებულებას იღებენ, იმ ტერიტორიაზე სადაც გამოიყენება რეგიონალური და უმცირესობათა ენები, თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად და რამდენადაც ეს რეალურად იქნება შესაძლებელი:

ა. უზრუნველყონ რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება ასეთი სამსახურის განხორციელებისას; ან

ბ. ნება დართონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირებს შეიტანონ თხოვნა და მიიღონ პასუხი ამ ენებზე; ან

გ. ნება დართონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირებს წარადგინონ თხოვნა ამ ენებზე.

4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების იმ დებულებების ასამოქმედებლად, რომლებზეც მათ თანხმობა განაცხადეს, მხარეები ვალდებულებას იღებენ განახორციელონ ერთ-ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნა:

ა. უზრუნველყონ წერილობითი ან ზეპირი თარგმანი საჭიროების შემთხვევაში;

ბ. უზრუნველყონ ადმინისტრაციული მუშაკებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა სათანადო კადრების აყვანა სამსახურში და საჭიროების შემთხვევაში მათი პროფესიული მომზადება.

გ. რეგიონალური და უმცირესობის ენის მცოდნე სახელმწიფო მოხელეთა თხოვნის შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება, მათი იმ ტერიტორიაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, სადაც გამოიყენება ეს ენა.

5. მხარეები ვალდებულებას იღებენ დააკმაყოფილონ დაინტერესებული პირების თხოვნა რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე გვარის გამოყენებასა ან ასეთი გვარის აღებასთან დაკაეშირებით.

**მუხლი 11 - მასმედია**

1. რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირთა ინტერესების გათვალისწინებით მხარეები ვალდებულებას იღებენ იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოიყენება ეს ენები, თითოეული ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად და ამ სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი ან არაპირდაპირი კომპეტენციის, უფლებამოსილებისა და როლის გათვალისწინებით, მასმედიის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის პრინციპების დაცვით და

ა. იმ ზომით, რამდენადაც რადიო და ტელევიზია ახორციელებს სახელმწიფო სამსახურის ფუნქციებს:

i. უზრუნველყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის შექმნა რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის შექმნა რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

iii. მიიღონ სათანადო ზომები, რომ სატელევიზიო და რადიოპროგრამებში შეტანილ იქნეს გადაცემები რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე;

ბ.

i. წაახალისონ დ/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურის შექმნას რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ  რადიო პროგრამებში რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე გადაცემების შეტანა რეგულარულ საფუძველზე;

გ.

i. წაახალისონ და ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი სატელევიზიო არხის შექმნას რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე; ან

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე გადაცემების რეგულარულ შეტანას სატელევიზიო პროგრამებში;

დ. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე აუდიო და აუდიოვიზუალური პროდუქციის შექმნასა და დისტრიბუციას;

ე.

i. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე თუნდაც ერთი გაზეთის შექმნას და/ან შენარჩუნებას; ან

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე საგაზეთო სტატიების რეგულარულ გამოქვეყნებას;

ვ.

i. დაფარონ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამატებითი ხარჯები, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს, თუ კანონი ითვალისწინებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას; ან

ii. გამოიყენონ ფინანსური დახმარების არსებული საშუალებები რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე შექმნილი აუდიოვიზუალური პროდუქციის მიმართაც.

ზ. დახმარება აღმოუჩინონ ჟურნალისტებისა და მასმედიის სხვა მუშაკების პროფესიულ მომზადებას იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, რომლებიც რეგიონალური და უმცირესობათა ენებს იყენებენ.

2. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ მეზობელი ქვეყნებიდან რადიო და ტელეპროგრამების პირდაპირი შეუზღუდავი მიღება იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენის იდენტური ან მსგავსი ფორმით, და ხელი არ შეუშალონ ამ ენაზე რადიო და ტელეპროგრამების რეტრანსლიაციას მეზობელი ქვეყნებიდან. გარდა ამისა, მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ, რომ არ იქნეს დაწესებული შეზღუდვები ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის თვალსაზრისით იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება რეგიონალური და უმცირესობის ენის იდენტური ან მსგავსი ფორმით. ზემოხსენებული თავისუფლებების განხორციელება გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, და ამდენად შეიძლება დაექვემდებაროს კანონით განსაზღვრულ ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვისა და დანაშაულებათა აღკვეთის, ჯანმრთელობისა და ზნეობის, ღირსებისა და სხვა პირების უფლებათა დაცვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა, თუ სასამართლო ხელისაუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირთა ინტერესები წარმოდგენილი ან გათვალისწინებული იქნეს იმ ორგანოების მუშაობაში, რომლებიც შეიძლება შეიქმნას კანონის შესაბამისად მასმედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 12 - კულტურული საქმიანობა და კულტურის დაწესებულებები

1. კულტურულ საქმიანობასა და კულტურის დაწესებულებების, განსაკუთრებით ბიბლიოთეკების, ვიდეოთეკების, კულტურის ცენტრების, მუზეუმების, არქივების, აკადემიების, თეატრებისა და კინოთეატრების, აგრეთვე ლიტერატურული და კინემატოგრაფიული საქმიანობის, ხალხური შემოქმედების, ფესტივალებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების, მათ შორის ისეთი დარგების მიმართ, რომლებიც უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ, მხარეები ვალდებულებას იღებენ იმ ტერიტორიებზე სადაც ეს ენები გამოიყენება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის, უფლებამოსილებისა და როლის ფარგლებში:

ა. რეგიონალურ და უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით წაახალისონ სხვადასხვა კულტურული ინიციატივები და თვითგამოხატვის ფორმები, და ხელი შეუწყონ საქმიანობას, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის ამ ენებზე შექმნილ ნაწარმოებებს;

ბ. ხელი შეუწყონ და განავითარონ მთარგმნელობითი, დუბლირების, პოსტსინქრონული თარგმანისა და სუბტიტრირების მიმართულებით მუშაობა, რათა

რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ენებზე;

გ. ხელი შეუწყონ და განავითარონ მთარგმნელობითი, დუბლირების, პოსტსინქრონული თარგმანისა და სუბტიტრირების მიმართულებით მუშაობა, რათა სხვა ენებზე შექმნილი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი გახდეს რეგიონალური და უმცირესობათა ენებზე;

დ. უზრუნველყონ, რომ სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა სათანადო ყურადღება დაუთმონ რეგიონალური და უმცირესობათა ენებისა და კულტურათა ცოდნასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ისინი უწევენ ორგანიზებასა და მხარდაჭერას;

ე. ხელი შეუწყონ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ისეთი თანამშრომლების მოზიდვას, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობის ენას, დანარჩენი მოსახლეობის ენასთან (ენებთან) ერთად;

ვ. ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობას კულტურული ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ წარმართვაში;

ზ. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ ისეთი ორგანოს ან ორგანოების შექმნას, რომლებიც მოახდენენ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაწარმოებების შეკრებას, ასლის შენახვასა და პრეზენტაციას ან გამოქვეყნებას;

თ. აუცილებლობის შემთხვევაში, შექმნან და/ან ხელი შეუწყონ და დააფინანსონ მთარგმნელობითი და ტერმინოლოგიის შემმუშავებელი სამსახურები, კერძოდ კი თითოეულ რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე კომერციული, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური თუ სამართლებრივი ტერმინოლოგიის დაცვისა და განვითარების მიზნით.

2. იმ ტერიტორიების მიმართ, სადაც ტრადიციულად არ გამოიყენება რეგიონალური და უმცირესობათა ენები, თუ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს, მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ, ხელი შეუწყონ და/ან უზრუნველყონ სხვადასხვა სახის კულტურული საქმიანობა და კულტურის დაწესებულებების ფუნქციონირება წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობებში სათანადო ადგილი დაუთმონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს და იმ კულტურას, რომლის გამოხატულებასაც ისინი წარმოადგენენ.

## მუხლი 13 - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება

1. ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით მხარეები ვალდებულებას იღებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით:

ა. გააუქმონ ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული ნებისმიერი დებულება, რომელიც გაუმართლებლად კრძალავს ან ზღუდავს რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებას ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, კერძოდ შრომით ხელშეკრულებებში და ტექნიკურ დოკუმენტაციაში, როგორიცაა სხვადასხვა სახის პროდუქციისა თუ მოწყობილობის მოხმარების წესები;

ბ. აკრძალონ კომპანიების შინაგანაწესსა და ინდივიდუალურ აქტებში ისეთი დებულებების შეტანა, რომლებიც კრძალავენ ან ზღუდავენ რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენებას, ყოველ შემთხვევაში ერთ ენაზე მოლაპარაკეებს შორის მაინც;

გ. არ დაუშვან პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ეკონომიკური და სოციალურ საქმიანობაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების წინააღმდეგ;

დ. სხვა მეთოდებით, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ზემო ქვეპუნქტებით ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენება.

2. ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით, მხარეები ვალდებულებას იღებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში, იმ ტერიტორიებზე, სადაც გამოიყენება რეგიონალური და უმცირესობათა ენები და რამდენადაც ეს რეალურად არის შესაძლებელი:

ა. შეიტანონ საბანკო და საფინანსო კანონმდებლობაში დებულებები, რომლებიც კომერციულ პრაქტიკასთან შესაბამისად განსაზღვრავენ რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების კონკრეტულ შესაძლებლობებს გადახდის ორდერების (ჩეკები, ვექსელები და სხვა) ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შედგენისას, ან აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყონ ამ დებულებების განხორციელება;

ბ. მათ უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ ეკონომიკურ და სოციალურ სექტორებში (სახელმწიფო სექტორი) მიიღონ ზომები რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების წასახალისებლად;

გ. უზრუნველყონ, რომ სოციალური სფეროს დაწესებულებებს, როგორებიცაა საავადმყოფოები, მოხუცებულთა სახლები და თავშესაფრები, შესაძლებლობა ჰქონდეთ რეგიონალურ და უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე პირების მიღებისა და მკურნალობის პროცესში, რომლებსაც ესაჭიროებათ მზრუნველობა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან სხვა მიზეზების გამო, წარმართონ პაციენტებთან ურთიერთობა მათ მშობლიურ ენაზე;

დ. შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების ინსტრუქციები შედგენილი იყოს რეგიონალური და უმცირესობათა ენებზეც;

ე. უზრუნველყონ, რომ კომპეტენტური ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების შესახებ ხელმისაწვდომი იყოს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე.

## მუხლი 14 - ტრანსსასაზღვრო გაცვლები

მხარეები ვალდებულებას იღებენ:

ა. სრულად გამოიყენონ არსებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, სადაც გამოიყენება იგივე ენა იდენტური ან მსგავსი ფორმით, ან აუცილებლობის შემთხვევაში ესწრაფონ დადონ ასეთი შეთანხმებები, რათა ხელი შეუწყონ ამ სახელმწიფოებში ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთა შორის კონტაქტების განვითარებას კულტურის, განათლების, ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განათლების სფეროებში;

ბ. რეგიონალური და უმცირესობათა ენების სასარგებლოდ ხელი შეუწყონ და/ან განავითარონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, მათ შორის მმართველობის

რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის იქ სადაც გამოიყენება ერთი და იგივე ენა იდენტური და მსგავსი ფორმით.

## ნაწილი IV - ქარტიის გამოყენება

### მუხლი 15 - პერიოდული მოხსენებები

1. მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმით პერიოდულად წარუდგენენ მოხსენებას ამ ქარტიის II ნაწილის შესაბამისად მათ მიერ გატარებული პოლიტიკისა და ქარტიის III ნაწილის იმ დებულებათა შესაბამისად განხორციელებული ზომების შესახებ, რომლებზეც მათ განაცხადეს თანხმობა. პირველი მოხსენების წარდგენა მოხდება შესაბამისი მხარის მიმართ ამ ქარტიის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომი მოხსენებებისა – სამწლიანი ინტერვალებით პირველი მოხსენების წარდგენის შემდეგ.

2. მხარეებმა საჯაროდ უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი მოხსენებები.

### მუხლი 16 - მოხსენებების განხილვა

1. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მე-15 მუხლის თანახმად წარდგენილი მოხსენებების განხილვა მოხდება მე-17 მუხლის შესაბამისად შექმნილი ექსპერტთა კომიტეტის მიერ.

2. სახელმწიფოში კანონიერ საფუძველზე შექმნილ ორგანოებსა და ასოციაციებს შეუძლიათ ექსპერტთა კომიტეტის ყურადღება მიაპყრონ ამ სახელმწიფოს მიერ ქარტიის III ნაწილით აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ მხარესთან შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ ექსპერტთა კომიტეტს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ეს ინფორმაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენების მომზადებისას. აღნიშნულ ორგანოებს ან ასოციაციებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და განცხადებები მონაწილე მხარის მიერ ქარტიის II ნაწილის შესაბამისად წარმოებული პოლიტიკის თაობაზე.

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოხსენებებისა და მე-2 პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა კომიტეტი მოამზადებს მოხსენებას მინისტრთა კომიტეტისათვის წარსადგენად. ამ მოხსენებას შეიძლება დაერთოს შენიშვნები, რომელთა წარმოდგენაც მხარეებს ეთხოვათ და იგი შეიძლება საჯაროდ გამოქვეყნდეს მინისტრთა კომიტეტის მიერ.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენება, კერძოდ, უნდა შეიცავდეს იმ წინადებებს, რომლითაც ექსპერტთა კომიტეტი მიმართავს მინისტრთა კომიტეტს, ამ უკანასკნელის მიერ ერთი ან რამდენიმე მხარის მიმართ აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე.

5. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ყოველ ორ წელიწადში საპარლამენტო ასამბლეას წარუდგენს დეტალურ მოხსენებას ამ ქარტიის გამოყენების თაობაზე.

### მუხლი 17 - ექსპერტთა კომიტეტი

1. ექსპერტთა კომიტეტი შედგება ქარტიის მონაწილე თითოეული მხარის თითო წარმოდგენლისაგან, რომლებსაც ნიშნავს მინისტრთა კომიტეტი მაღალი რეპუტაციისა და ქარტიით მოცულ საკითხებში აღიარებული კომპეტენციის მქონე კანდიდატურების სიიდან, რომელსაც შესაბამისი მხარე წარმოადგენს.

2. კომიტეტის წევრები ინიშნებიან ექვსი წლის ვადით და შესაძლებელია მათი ხელახალი ვადით დანიშვნა. თუ კომიტეტის რომელიმე წევრი ვერ შეძლებს დაასრულოს აღნიშნული ვადა, მისი შემცვლელი დარჩენილი დროის განმავლობაში დაინიშნება პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

3. ექსპერტთა კომიტეტი მიიღებს თავის შიდა რეგლამენტს. კომიტეტის სამდივნო სამსახურს უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

## ნაწილი V - დასკვნითი დებულებები

**მუხლი 18**

ეს ქარტია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპოზიტარი არის ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

**მუხლი 19**

1. ეს ქარტია ძალაში შევა თვის პირველი რიცხვიდან, სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს ხუთი წევრი სახელმწიფო მე-18 მუხლის დებულებების შესაბამისად გამოთქვამს თანხმობას გახდეს ქარტიის მონაწილე მხარე.

2. ყველა სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თანხმობას შეუერთდეს ქარტიას, ქარტია ძალაში შევა თვის პირველი რიცხვიდან, მას შემდეგ რაც ამოიწურება სამთვიანი ვადა რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დღიდან.

**მუხლი 20**

1. ამ ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი, შესთავაზოს შეუერთდეს ამ ქარტიას.

2. ყველა იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შეუერთდება ქარტიას, ქარტია ძალაში შედის თვის პირველი რიცხვიდან, მას შემდეგ რაც ამოიწურება სამთვიანი ვადა იმ დღიდან, როდესაც სიგელი შესანახად ჩაბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

**მუხლი 21**

1. ნებისმიერ მხარეს ქარტიის ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარებისას, შეუძლია გააკეთოს

ერთ ან მეტი დათქმა ამ ქარტიის მეშვიდე მუხლის 2-5 პუნქტების მიმართ. არ შეიძლება დათქმის შეტანა ქარტიის სხვა დებულებებთან დაკავშირებით.

2. ყველა სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოითხოვოს იგი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი ნოტის საშუალებით. დათქმა გაუქმებულად ჩაითვლება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.

**მუხლი 22**

1. თითოეულ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი ნოტის საშუალებით.

2. დენონსაცია ძალაში შედის თვის პირველი რიცხვიდან, მას შემდეგ რაც ამოიწურება ექვსთვიანი ვადა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.

**მუხლი 23**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდება ამ ქარტიას:

ა. ყოველი ხელმოწერის შესახებ;

ბ. ყოველი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

გ. მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად ყოველი სახელმწიფოს მიმართ ამ ქარტიის ძალაში შესვლის შესახებ;

დ. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;

ე. ამ ქარტიასთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა აქტის, ნოტიფიკაციის ან ცნობის მიღების შესახებ.

რასაც ქვემორე ხელის მომწერნი, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ადასტურებენ ამ ქარტიაზე ხელისმოწერით.

შედგენილია სტრასბურგში 1992 წლის 5 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი ავთენთიკურია და შედგენილია თითო ეგზემპლარად, რომელიც შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს არქივს. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს უგზავნის ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდება ამ ქარტიას.

რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის იქ სადაც გამოიყენება ერთი და იგივე ენა იდენტური და მსგავსი ფორმით.

## ნაწილი IV - ქარტიის გამოყენება

### მუხლი 15 - პერიოდული მოხსენებები

1. მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმით პერიოდულად წარუდგენენ მოხსენებას ამ ქარტიის II ნაწილის შესაბამისად მათ მიერ გატარებული პოლიტიკისა და ქარტიის III ნაწილის იმ დებულებათა შესაბამისად განხორციელებული ზომების შესახებ, რომლებზეც მათ განაცხადეს თანხმობა. პირველი მოხსენების წარდგენა მოხდება შესაბამისი მხარის მიმართ ამ ქარტიის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომი მოხსენებებისა – სამწლიანი ინტერვალებით პირველი მოხსენების წარდგენის შემდეგ.

2. მხარეებმა საჯაროდ უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი მოხსენებები.

### მუხლი 16 - მოხსენებების განხილვა

1. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მე-15 მუხლის თანახმად წარდგენილი მოხსენებების განხილვა მოხდება მე-17 მუხლის შესაბამისად შექმნილი ექსპერტთა კომიტეტის მიერ.

2. სახელმწიფოში კანონიერ საფუძველზე შექმნილ ორგანოებსა და ასოციაციებს შეუძლიათ ექსპერტთა კომიტეტის ყურადღება მიაპყრონ ამ სახელმწიფოს მიერ ქარტიის III ნაწილით აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ მხარესთან შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ ექსპერტთა კომიტეტს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ეს ინფორმაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენების მომზადებისას. აღნიშნულ ორგანოებს ან ასოციაციებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და განცხადებები მონაწილე მხარის მიერ ქარტიის II ნაწილის შესაბამისად წარმოებული პოლიტიკის თაობაზე.

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოხსენებებისა და მე-2 პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა კომიტეტი მოამზადებს მოხსენებას მინისტრთა კომიტეტისათვის წარსადგენად. ამ მოხსენებას შეიძლება დაერთოს შენიშვნები, რომელთა წარმოდგენაც მხარეებს ეთხოვათ და იგი შეიძლება საჯაროდ გამოქვეყნდეს მინისტრთა კომიტეტის მიერ.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენება, კერძოდ, უნდა შეიცავდეს იმ წინადებებს, რომლითაც ექსპერტთა კომიტეტი მიმართავს მინისტრთა კომიტეტს, ამ უკანასკნელის მიერ ერთი ან რამდენიმე მხარის მიმართ აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე.

5. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ყოველ ორ წელიწადში საპარლამენტო ასამბლეას წარუდგენს დეტალურ მოხსენებას ამ ქარტიის გამოყენების თაობაზე.

### მუხლი 17 - ექსპერტთა კომიტეტი

1. ექსპერტთა კომიტეტი შედგება ქარტიის მონაწილე თითოეული მხარის თითო წარმოდგენლისაგან, რომლებსაც ნიშნავს მინისტრთა კომიტეტი მაღალი რეპუტაციისა და ქარტიით მოცულ საკითხებში აღიარებული კომპეტენციის მქონე კანდიდატურების სიიდან, რომელსაც შესაბამისი მხარე წარმოადგენს.

2. კომიტეტის წევრები ინიშნებიან ექვსი წლის ვადით და შესაძლებელია მათი ხელახალი ვადით დანიშვნა. თუ კომიტეტის რომელიმე წევრი ვერ შეძლებს დაასრულოს აღნიშნული ვადა, მისი შემცვლელი დარჩენილი დროის განმავლობაში დაინიშნება პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

3. ექსპერტთა კომიტეტი მიიღებს თავის შიდა რეგლამენტს. კომიტეტის სამდივნო სამსახურს უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

## ნაწილი V - დასკვნითი დებულებები

### მუხლი 18

ეს ქარტია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპოზიტარი არის ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

### მუხლი 19

1. ეს ქარტია ძალაში შევა თვის პირველი რიცხვიდან, სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს ხუთი წევრი სახელმწიფო მე-18 მუხლის დებულებების შესაბამისად გამოთქვამს თანხმობას გახდეს ქარტიის მონაწილე მხარე.

2. ყველა სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თანხმობას შეუერთდეს ქარტიას, ქარტია ძალაში შევა თვის პირველი რიცხვიდან, მას შემდეგ რაც ამოიწურება სამთვიანი ვადა რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დღიდან.

### მუხლი 20

1. ამ ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი, შესთავაზოს შეუერთდეს ამ ქარტიას.

2. ყველა იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შეუერთდება ქარტიას, ქარტია ძალაში შედის თვის პირველი რიცხვიდან, მას შემდეგ რაც ამოიწურება სამთვიანი ვადა იმ დღიდან, როდესაც სიგელი შესანახად ჩაბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

### მუხლი 21

1. ნებისმიერ მხარეს ქარტიის ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარებისას, შეუძლია გააკეთოს ერთ ან მეტი დათქმა ამ ქარტიის მეშვიდე მუხლის 2-5 პუნქტების მიმართ. არ შეიძლება დათქმის შეტანა ქარტიის სხვა დებულებებთან დაკავშირებით.

2. ყველა სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოითხოვოს იგი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი ნოტის საშუალებით. დათქმა გაუქმებულად ჩაითვლება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.

**მუხლი 22**

1. თითოეულ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი ნოტის საშუალებით.

2. დენონსაცია ძალაში შედის თვის პირველი რიცხვიდან, მას შემდეგ რაც ამოიწურება ექვსთვიანი ვადა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.

**მუხლი 23**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდება ამ ქარტიას:

ა. ყოველი ხელმოწერის შესახებ;

ბ. ყოველი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

გ. მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად ყოველი სახელმწიფოს მიმართ ამ ქარტიის ძალაში შესვლის შესახებ;

დ. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;

ე. ამ ქარტიასთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა აქტის, ნოტიფიკაციის ან ცნობის მიღების შესახებ.

რასაც ქვემორე ხელის მომწერნი, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ადასტურებენ ამ ქარტიაზე ხელისმოწერით.

შედგენილია სტრასბურგში 1992 წლის 5 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი ავთენთიკურია და შედგენილია თითო ეგზემპლარად, რომელიც შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს არქივს. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ პირებს უგზავნის ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს და ნებისმიერ სხეა სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდება ამ ქარტიას.